# საერთო გაზეთი

№33 (538) • 25 სექტემბერი, 2019წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

## მამუკა ხაზარაძეს ე.წ. თბილისური მაფიის ნათლიმამობა და დონ კორლეონეობა სურს





## მამუკა ხაზარაძე, მეუფე იაკობი და გიორგი კვირიკაშვილი - ესენი არიან დღევანდელ პოლიტიკურ სიტუაციაში წარმმართველი ძალა და არა გაკოტრებული „ნაცები“ და „ევრონაცები“



## ის, რასაც მამუკა ხაზარაძე და ბადრი ჯაფარიძე ქართველ ხალხს ეთამაშებიან, ჭადრაკი არ არის – ეს „შაშკაა“...



## სააკაშვილი ხაზარაძეზე ეჭვიანობს, რადგან ფიქრობს, რომ მის პოლიტიკურ ჰარამხანაში მევახშე ჯაყო შემოიპარა

## სად არის და ვინ განაგებს „ნაცების“ „ობშიაკს“, რომელიც საქართველოდან გატაცებული მილიარდებით ივსებოდა?



## გამარჯობა ანგი!

ახლა თქვენ გააღეთ პირი და თქვით, როგორ და რანაირად მოაწერინეთ ხელი პრეზიდენტს სამი მკვლელის და ერთი ძებნილის შეწყალებაზე?



## ბავშვები – სექსმონები, პედოფილია, ადამიანებით ვაჭრობა, – აი, თანამედროვე მსოფლიოს ნამდვილი სახე

# მამუკა ხაზარაძეს ე.წ. თბილისური მაფიის ნათლიმამობა და დონ კორლეონეობა სურს

## მამუკა ხაზარაძე, მეუფე იაკობი და გიორგი კვირიკაშვილი – ეს შესანიშნავი სამეულია დღევანდელ პოლიტიკურ სიტუაციაში წარმმართველი ძალა და არა გაკოტრებული „ნაცები“ და „ევრონაცები“

***გვესაუბრება ეროვნული მოძრაობის ვეტერანი და დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას უახლოესი თანამებრძოლი, ბატონი ბესო მიქავა***

— იმდენი რამე ვთქვი გიორგი გახარიაზე, გახარისტი გამოვდივარ, მაგრამ პირდაპირ გეტყვით — დღევანდელ მთავრობაში ყველაზე არსებობს კომპრომატი, ბევრს ეცადნენ, რომ ახალ პრემიერ-მინისტრზეც გამოემჟღავნებინათ რაიმე ისეთი, მის ავტორიტეტს და სახელს რომ შებღალავდა, მაგრამ ვერ შეძლეს, ვერ მოახერხეს, რადგან ამ კაცს არაფერი აქვს, ასე ვთქვათ, წამოსაძახებელი.

**— ბატონო ბესო, არც გახარიას შიში აქვთ ძველ ბანდიტებს და პუტჩისტებს და არც ევრონაცები ეპუებიან არავის. 20 სექტემბერს დიდ მიტინგს გეგმავდნენ პარლამენტის წინ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. რას იტყვით ამაზე?**

— წინა დღეებშიც ვამბობდი,



რომ არაფერი გამოუვიდოდათ. ვიცოდი, ხალხი არ მივიდოდა მაგ აქციაზე.

**— რა იცოდით, რომ არ მივიდოდა ხალხი?**

— მე ვიცი ქართველი ხალხის განწყობა. ვიცნობ ჩემს ხალხს. ვიცი, როდის გამოდის, რისთვის გამოდის და რა უნდა.

არასწორია, როცა ლაპარაკობენ, კარტოფილზე, ხახვზე, ან ფულზე გაიყიდა ქართველი ხალხიო. არის მოსახლეობის, ალბათ, 5%, რომლებიც, გაჭირვებიდან გამომდინარე, აპოლიტიკურია და ვინც რაიმეს შესთავაზებს, იღებს, თორემ, პრინციპში, ერი, ხალხი, ძირითადი მასა, არ იყიდება.

სხვა საქმეა, რატომ დაუჭირა ქართველმა ამომრჩეველმა ერთ დროს მხარი სააკაშვილს, ვითომ შევარდნაძის წინააღმდეგ მებრძოლს და ვითომ პატრიოტს, მერე კიდევ სხვებს და სხვებს, რატომ და, **ქართველების მოტყუება უფრო ადვილია, ვიდრე ყიდვა.**

ამის მაგალითები ბევრია.

30 წლის განმავლობაში ასე ატყუებდნენ, 20-შიც სცადეს, მაგრამ, როგორც დავინახეთ, არ გამოუვიდათ. არც გამოუვიდოდათ, რადგან ჩვენს ხალხს კარგი პოლიტიკური მეხსიერება აქვს. დიდი დრო არ არის გასული მას შემდეგ, რაც საქართველოში სამხედრო გადატრიალება მოხდა. დღევანდელი პოლიტიკოსების დიდი ნაწილი იყო და არის იმ გადატრიალების უშუალო მონაწილე.

არავის არ დავიწყებია, ლენინელი, კომკავშირელი **მამუკა ხაზარაძე** რომ არის კაცი, ვინც **მერაბ კოსტავას** ხელი დაარტყვა.

**— მართლა მოხდა ეს ამბავი, ბატონო ბესო?**

— ცოცხალია, ბატონო, ის ადამიანი, ვინც ამ ამბის მომსწრე იყო.

ხაზარაძის არაკაცობის დამადასტურებელი ყველა სამხილი და ფოტომასალა უკვე გამოქვეყნებულია და იცის ეს ფართო საზოგადოებამაც.



**პირადად მე კარგად მახსოვს ხაზარაძე რომ ითხოვდა შევარდნაძის მესამედ გაპრეზიდენტებას. ხაზარაძე გახლდათ „მოქალაქეთა კავშირის“ აქტიური წევრი, ის იყო ახალგაზრდა ნაციონალების უახლოესი მეგობარი და მხარდამჭერი. მის გვერდით იდგნენ ვასაძე, მარგველაშვილი და სხვები. ეს ადამიანები ერთი გუნდის წევრები არიან და რეალურად, არასდროს დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. ესენი არიან სწორედ იმ ე.წ. „თბილისური მაფიის“ წევრები, რომლებზეც მე უკვე ვილაპარაკე თქვენი გაზეთის ფურცლებიდან.** ამ ადამიანებს პრეტენზიები აქვთ, ყველა ხელისუფლებაში იყვნენ გარკვეული დოზით და ჰქონდეთ შესაბამისი გავლენები.

ყველა ხელისუფლება, რაც კი ყოფილა და არის, მოდის ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკური ლოცვა-კურთხევით.

კიდევ მეტი. საქართველოს ეკლესიის წარმომადგენელთა უმრავლესობა სწორედ ედუარდ შევარდნაძის მიერ გამოზრდილი ჩეკისტები არიან.

მაგალითად, **მეუფე იაკობი**, რომელმაც პირდაპირ განაცხადა: გიორგი გახარიას მე დავამხობო. დიახ, ეპისკოპოსმა ბრძანა ეს. ასე რომ, დღეს ვინ ვის ებრძვის, ის კი არ არის მთავარი, არამედ ის, თუ რისთვის ებრძვის და რა დოზით. სააკაშვილიც ებრძოდა ვითომ შევარდნაძეს, მაგრამ მისი გამოზრდილი იყო და ეუბნება კიდევაც ერთ ვიდეოჩანაწერში მიშას ედიკა — შენ იქნები მომავალი პრეზიდენტიო. სააკაშვილმა თავის პირველ შვილს ედუარდი დაარქვა, შევარდნაძის საპატივცემულოდ.

**— თქვენ ინტერვიუს დაწყებამდე გაიხსენეთ ბონდო მძინარიშვილის რეპლიკა — კიტოვანს რას ერჩით, ის რომ არ ყოფილიყო, თქვენც ვერ იქნებოდით ხელისუფლებაშიო.**



**რამ გაგახსენათ ახლა ეს, რა გინდოდათ, გეთქვათ?**

— დღეს არაპოპულარულია კიტოვანის და „მხედრიონის“ ხსენება. არადა, იყო დრო, საამაყო იყო, სამწუხაროდ და საუბედუროდ.

ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში ამას წინათ გავიდა არასრულყოფილი მასალა 90-იანი წლების მოვლენებთან დაკავშირებით. გადაცემაში **დოდო გუგეშაშვილს** მისცეს საშუალება, ეთქვა თავისი სათქმელი.

**პირდაპირ ვიტყვი, 2 თებერვლის სისხლიანი აქცია უშუალოდ უკავშირდება გელა ლანჩავას და მეუფე იაკობს.**

იმ მოვლენებში შეიძლება მონაწილეობდა „მხედრიონის“ გარკვეული ნაწილი, მაგრამ **იურიდიულად, 2 თებერვალი პირდაპირ გელა ლანჩავას და მეუფე იაკობის კისერზეა.**

**მეუფე იაკობი „მხედრიონელი“ არ ყოფილაო. დიახ, არ იყო „მხედრიონელი“, გვარდიელი იყო, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ გვარდიელები არ ჩადიოდნენ დანაშაულს.**



იმ პერიოდში მარტო „მხედრიონი“ კი არ კლავდა და ყაჩაღობდა, არამედ ყველა, ვისაც სინდისზე ჰქონდა ხელი აღებული.

მე „იმედის“ ეთერში კიდევაც ვთქვი: სამეგრელო გაძარცვა ყველამ, ვინც შევარდნაძემ გამოუშვა სამეგრელოში-მეთქი და ვიგულისხმე შევარდნაძისდროინდელი გვარდიაც, „მხედრიონიც“, უშიშროებაც და სხვებიც.

დღეს კი გადაწყვიტეს რატომღაც, რომ ხელი „მხედრიონს“ და კიტოვანს შეახოცონ. ამიტომაც თქვა ბონდო მძინარიშვილმა, დაანებეთ კიტოვანს თავი, თავისი ცოდვებიც ეყოფა. მას რომ ზვიად გამსახურდია არ დაემხო, ჩემ ფეხებს მოხვიდოდით ხელისუფლებაშიო.

ისე, ესეც არასწორი ნათქვამია, რადგან გამსახურდია, პრინციპში, კიტოვანს არ დაუმხია და მინდა ეს კარგად დაწეროთ: ზვიად გამსახურდიას ერთხელ უცხოელმა ჟურნალისტმა უთხრა: ედუარდ შევარდნაძე ტრაგიკული ადამიანია, რადგან სამი ბანდიტის — კიტოვანის, იოსელიანის და სიგუას ხელშიაო. ზვიად გამსახურდიამ მაშინ მიუგო: ამ შემთხვევაში, ტრაგიკული შევარდნაძე კი არ გამოდის, არამედ ის სამი ადამიანი და იცით, რატომო? შევარდნაძე მაგათ სამივეს მოიშორებს, ციხეში ჩასვამსო.

ეს თქვა მაშინ, როცა იმ სამეულს მაღალი თანამდებობები ეკავათ და ცხვირზე ბუზის აფრენას არ ელოდებოდნენ. **კიტოვანს, სიგუას და იოსელიანს ეგონათ და დოდო გუგეშაშვილსაც ჰგონია, რომ მათ დაამხეს ზვიად გამსახურდია. არა, ბატონებო, ესენი იყვნენ და არიან ნოლი, კგბ-სა და ევროამერიკული იმპერიალიზმის „შნირები“**, აგენტურა და ბინძური საქმის შემსრულებლები. ამათ სურთ თავიანთ თავზე მიიკერონ რაღაც გარკვეული მისიები, მაგრამ ესენი არიან და იყვნენ არარაობები, რომელთაც აქვთ ერთადერთი ხსნა: თქვან, რომ გამოიყენეს და დაასახელონ ისინი, ვინაც გამოიყენა, ვინაც გადაუხადა და უბიძგა იმ სამარცხვინო და დანაშაულებრივი ქმედებებისკენ.

**— თქვენ რას ფიქრობთ, კონკრეტულად, ვინ გამოიყენა ისინი?**

— კოლექტიურმა ხაზარაძეებმა, იგივე მაფიამ გამოიყენა ყველა, ვინაც არეულობაში ყველაზე დიდი სარგებელი ნახა და დღესაც სარგებელზეა დაგეშილი.

ხაზგასმით აღვნიშნავ: ყველა, ვინაც 90-იან წლებში ფული იშოვა,



„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ტაშკენტის ქ. 18;
ტელ.: 593 44 04 01; 593 56 11 18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.



ყოფილი კგბ-ს და შსს-ს თანამშრომლები არიან.

ნებისმიერი შემეკამათოს, ხაზარაძის ჩათვლით და დავუმტკიცებ ამას.

პროკურატურაა დამნაშავე, რომ დღემდე საქმეები არაა აღძრული ამ დანაშაულებებზე.

მაგალითად, დოდო გუგეშაშვილი რომ გამოდის და ამბობს: არაფერი დამიშავებიაო. შე მამაცხონებულო, 37 სახლი, აბა, ვინ გადაწვა დარჩელში.

დიახ, ამაზე საქმე აღძრულიც არაა.

**— რამდენიმე წლის წინ მე დავწერე პატარა წერილი „მხედრიონზე“, რის შემდეგაც დამირეკა დოდო გუგეშაშვილმა და მითხრა, შეურაცხყოფას რომ აყენებ „მხედრიონელ“ მებრძოლ ბიჭებს, ცოცხლებს, ხოლო მიცვალებულების სულს აწუხებ, არ გრცხვენიაო? მითხარი, რომელმა „მხედრიონელმა“ გაწყენინა და მე პასუხს მოვთხოვთ მასო.**

— მომისმინე ჩემო კარგო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, უპატიოსნესმა კაცმა, ჟურნალისტმა თამაზ ფიფიამ გარკვეული ხნის წინ გამოსცა წიგნი „ცოდვის კალო სამეგრელოში“.

**— მე მაქვს ეს წიგნი წაკითხული. სრული კოშმარია.**

— წიგნი ორ ტომად გამოვიდა, თუმცა ეს კიდევ არ არის სრულყოფილი სურათი იმისა, რაც მოხდა სამეგრელოში. ბატონი თამაზი მერე ცუდად გახდა და ვეღარ გააგრძელა წიგნზე მუშაობა, თორემ ის არის, რომ იტყვიან, ზღვაში წვეთი, რაც, სინამდვილეში მოხდა სამეგრელოში.

თამაზ ფიფია არ ეყრდნობა ჭორებს. მას დასახელებული ჰყავს კონკრეტული პირები, რომლებმაც მოუყვნენ თავს გადახდენილი უბედურებები. ეს უბრალო მოსახლეობაა — მუშა, გლეხი, მწყემსი. მართალია, „მხედრიონიო“? — კარგი, ბატონო, წავიდეთ დარჩელში, წალენჯიხაში, ზუგდიდში, სხვაგან, შევხვდეთ ხალხს, თქვენ ამოირჩიეთ ოჯახი, სახლი, თქვენ მიდით და იკითხეთ, ჩემი დარიგებული რომ არ გეგონოთ ვინმე და ნახეთ, რას გეტყვიან.

**მე წალენჯიხაში ვიყავი იმ წლებში. ერთხელ კი არა ექვსჯერ გაგვძარცვეს, ექვსჯერ! ჩემი მოძღვარი მამა რომანოზი აწამეს — ზვიად გამსახურდიას მომხრე ხარ და ზვიადისტებს მფარველობ, ეკლესიაში იარაღი გაქვსო. იარაღი ქაშუეთში გქონდათ თქვენ, მე იარაღი არა მაქვსო, უთხრა მაშინ მამა რომანოზმა და წვერით ათრიეს ის პატიოსანი მღვდელი...**

იმ დროს წალენჯიხაში მარტო, „მხედრიონი“ იყო დაბანაკებული ინტერნატის შენობაში.

რომ ვკითხე ახლახან „მხედრიონის“ წარმომადგენლებს — რა გინდოდათ წალენჯიხაში-მეთქი, აქეთ მომიგო: შენ რა გინდოდა თბილისშიო. მე თბილისში სასწავლებლად ჩამოვედი, საძარცვავად კი არა. წალენჯიხაში რომელ ინსტიტუტში ჩააბარე, მაინტერესებს-მეთქი, ვუთხარი...

მაშინ ყველას ძარცვავდნენ ეს არაკაცები. არავის გაურჩევია ზვიადისტი და შევარდნაძისტი. მართლაც ცოდვის კალო ტრიალებდა სამეგრელოში.

**— თქვენი აზრით, რატომ გააქტიურდა დოდო გუგეშაშვილი?**

— იმიტომ რომ, ალბათ, ხედავს, რომ ძველი მფარველები აპირებენ მათ ჩამოშორებას მომავალი პოლიტიკური პროცესების გასასუფთავებლად. წარმოიდგინეთ, სადმე რომ ვინმემ თქვას ძველი „მხედრიონელი“ ვარ, „მხედრიონი“ მიჭერს მხარს, ან მათთან ნამყოფი რომელიმე პირიო. დამთავრებულია პოლიტიკური ავტორიტეტი.

არჩევნების დროს, როგორც წესი, ხდება ზვიად გამსახურდიას სახელით ვაჭრობა და არა **ჯაბა იოსელიანის**.

დოდო გუგეშაშვილის სალაპარაკო, სადაა, ხალხო. რაც მაგათმა ქართველების სისხლი ღვარეს, რაც თბილისში ხალხი ხვრიტეს. იქადნებოდა ჯაბა იოსელიანი — ყველას დავხვრეტო და ვერ გავიგე, კიდევ საკამათოა რამე?

დაწერეთ, არ გამოტოვოთ — **დოდო გუგეშაშვილი არის რუსეთის „შნირი“, კგბ-შნიკების „შნირი“. არასდროს არავინ არ იყო, მისცეს იარაღი და კაცისშვილი რომ არ იკადრებდა, ისეთი საქმე გააკეთებინეს**. ვის რაში სჭირდებოდა „მხედრიონი“. თვითონ შევარდნაძემ მოიშორა. მგელაძის მიერ შექმნილი ეს დაჯგუფება ეროვნული ხელისუფლების და ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ დარაზმეს.

**— კონფრონტაციასა და წინააღმდეგობაზე გამახსენდა — თქვენს და ბევრი ქართველის ფავორიტ პრემიერ-მინისტრს გიორგი გახარიას ბევრი მოწინააღმდეგე და მოქიშპე გამოუჩნდა, იმის მიუხედავად, რომ ის ჯერ ერთი თვეც არაა, რაც პრემიერის თანამდებობაზე იმყოფება.**

— ადრე ვთქვი და კიდევ გავიმეორებ: **გიორგი გახარიას უნდა მიეცეს საშუალება, დააკომპლექტოს საკუთარი გუნდი, რომ მივიღოთ სასურველი შედეგები. იმ შემთხვევაში, როცა დღევანდელი პროკურატურა თავისკენ იქაჩება, არ სჯის ზვიად გამსახურდიას მკვლელებს, „მხედრიონელებს“, რომლებიც სწორედ ამ დაუსჯელობის გამო აცხადებენ უტიფრად — არაფერი დამიშავებიაო, როცა პროკურატურა დუმს დარჩელის მოსახლეობის ჩვენებებზე და თაროზე დებს მამხილებელ დოკუმენტაციას, რითაც ხელს აფარებს დოდო გუგეშაშვილს და სხვა „მამალ“ „მხედრიონელებს“ და პუტჩისტებს, გახარიამ რა უნდა გააკეთოს, არ მესმის.**





ნაცები თუ ევრონაცები, უხეშად რომ ვთქვათ, ეს არის ძველი „მოქალაქეთა კავშირი“, რომელსაც ჰყავდა ერთ სახელში გაერთიანებული. სხვადასხვა ჯგუფები, დღემდე ყველა, ვინც ხელისუფლებაში მოვიდა, იყვნენ შევარდნაძის ლეკვები და დაკავშირებული იყვნენ „მოქალაქეთა კავშირთან“, კვირიკაშვილის ჩათვლით.

სხვათა შორის, მე ადრე ვთქვი, თუ არ მოიშორებენ კვირიკაშვილს, სწორედ ის და ხაზარაძე დაამხობენ ხელისუფლებას-მეთქი და იყო კიდეც მცდელობები, ყველამ კარგად დავინახეთ ყველაფერი. კიდევ გავიმეორებ: **იმ არეულობების სულისჩამდგმელი და დამფინანსებელი, რაც მოხდა ბოლო თვეებში თბილისში, იყვნენ კვირიკაშვილი და ხაზარაძე**. კიდევაც გაიმეორა, ერთ-ერთი ტელევიზიის ეთერში „ოცნების“, ერთმა ყოფილმა დეპუტატმა ჩემი ნათქვამი. ახლა რომ ლაპარაკობენ, თავის დროზე მიეღოთ ზომები, მათთვისაც და ჩვენთვისაც უკეთესი იქნებოდა. გაოგნებული ვარ, რაც მე ვთქვი ადრე თქვენთან ინტერვიუში: ანაკლიის თემაზე ხელი რომ არ მოუწერა გახარიამ კვირიკაშვილ-ხაზარაძეს, ზუსტად ის ამბავი გაიმეორა „ოცნების“ დეპუტატმა ტელევიზიით, თითქოს მომსწრე ვყოფილიყავი იმ ამბების, ისეთი სიზუსტით დადასტურდა ყველაფერი.

ხაზარაძეს ხალხი და ქვეყნის კეთილდღეობა ფეხებზე ჰკიდია. მისთვის მნიშვნელოვანია, თავისი კაპიტალი დაიცვას და გაზარდოს, თორემ რა ეპოლიტიკოსებოდა და ეპარტიებოდა.

**გამოსაძიებელია ხაზარაძის ქონების წარმომავლობა, მისი ცხოვრების რეალური ფაქტები, გამოსაძიებელია ყველა სახელმწიფო დანაშაულებრივი საქმიანობები კონკრეტული ადამიანების, დავიწყოთ თუნდაც გამოძიება ზვიად გამსახურდიადან. შევისწავლოთ ყველაფერი დეტალურად. დასასჯელი დაისაჯოს, დასაგმობი დავგმოთ. ტყუილით და ფარსით სახელმწიფო ვერ იარსებებს.**

პროკურატურამ დაიწყოს გამოძიება ზვიად გამსახურდიასგან, მერაბ კოსტავასგან, ეროვნული მოძრაობის ნებისმიერი წარმომადგენლის საქმიანობა იქნას შესწავლილი. თუმცაკიდევ ვიმეორებ: პროკურატურა უსაქმურად ზის და ხელშესახებს არაფერს აკეთებს.

**— ბატონო ბესო, საქართველომ თავის დროზე თავისი ნებით შეიყვარა ზვიად გამსახურდია, ახლაც თავისი ნებით უჭერს მხარს, მაგალითად, გიორგი გახარიას, თუმცა ახლახან თითი დაგვიქნიეს და გვიბრძანეს — გიგა ბოკერია შეიყვარეთო. რა ხდება, სიმპათიაანტიპათიებსაც გვკარნახობენ და თავისუფალი განწყობების უფლებასაც აღარ გვიტოვებენ?**

— საქართველო არის ოკუპირებული და ანექსირებული 1992 წლის 6 იანვრიდან. კანონიერმა და ლეგიტიმურმა უზენაესმა საბჭომ 1992 წელს მომხდარ მოვლენებს მისცა პოლიტიკური შეფასება და უწოდა საქართველოს ოკუპაცია-ანექსია.

ზვიად გამსახურდია უზენაესი საბჭოს ამ შეფასებაში ამბობს: ევრო-ამერიკულმა იმპერიამ რუსეთის ხელით საქართველოში დაამხო კანონიერი ხელისუფლება ორჯერ — 1992 წელს და მეორედ ბალტინის ჯარმა ზუგდიდში.

„მხედრიონი“ რომ პატრიოტობს ახლა, ის ბალტინის ჯარი მაშინ ვერ შეამჩნია? რუსს ვებრძოდითო და მერე ის რუსი გვერდით რატომ დაუდგა გუგეშაშვილს? ამიხსნან ერთი, ბალტინის მებრძოლები რომელი სამოქალაქო ომის და „მხედრიონის“ მონაწილეები იყვნენ? ბალტინის ჯარი უკრაინაში რომ იდგა და ელცინმა საქართველოში რომ გამოუშვა ხელისუფლების დასამხობად, მერე რომ მათმა რაზმმა მოკლა ქვეყნის პრეზიდენტი, რა ჰქვია ამას?! ამას ჰქვია ოკუპაცია, ჩემო ბატონო, ხოლო პუტჩში ზვიად გამსახურდიას და ახალგაზრდა დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ, მონაწილეობა მიიღო, როგორც რუსეთმა, ასევე ევროპამ და ამერიკამ. მე ვგულისხმობ ხელისუფლებებს და არა ერებს. დიახ, ხელისუფლებები მაშინ შეთანხმდნენ ერთად მიეღოთ მონაწილეობა საქართველოს გასრესაში.

ამიტომაც არის ყველა მხარე ჩუმად, როცა საკითხი ზვიად გამსახურდიას ეხება.

ეს იყო საერთაშორისო შეთქმულება.

ახლა რაც ეხება კონკრეტულად ბოკერიას.

თქვენ გაზეთში ადრე ვთქვი: ბაიდენმა თუ ჩაიგდო ძალაუფლება აშშ-ში, დაიწყება დაპირისპირება მასა და ტრამპს შორის-მეთქი. ისიც დავძინე, ტრამპს თავისი წარმომადგენელიც კი არ ჰყავს ჯერ საქართველოში-მეთქი და მერე აქციაც გავმართე აშშ-ის საელჩოსთან აშშ-ს დამოუკიდებლობის დღეს. რატომ იყო ელჩი ასე აუცილებელი? იმიტომ რომ, აქ ბაიდენის ბანდა იყო დაბანაკებული და ამერიკიდან წამოსულ მესიჯებს კი არ ავრცელებდნენ, არამედ თავიანთ ბნელ ზრახვებს ახორციელებდნენ, მაგრამ რაში სჭირდებათ მათ კონკრეტულად ბოკერია, სხვა ვერ შეასრულებს დავალებებს? ბოკერია არის ერთადერთი ადამიანი, ვინც არ მოერიდება არაფერს და თვალდაუპაჭუნებლად თუ თვალდაუხამხამებლად შეეცდება ეკლესიის დაშლას. ამ კომპონენტის გამო უჭერენ მას მხარს და ამის გამო დაიცავენ კბილებით. გიგა ბოკერია მზადაა ქართული ეკლესიის დასაშლელად. რაზეც ოცნებობენ კიდევაც ჩვენი მტრები, რომ ამოშანთონ ის ერთადერთი საძირკველი, რომელიც ერს კრავს და მომავლის იმედს უნარჩუნებს.

დაბოლოს, მამუკა ხაზარაძე, მეუფე იაკობი და გიორგი კვირიკაშვილი — ეს ე.წ. შესანიშნავი სამეულია დღეს მთავარი წარმმართველი ძალა და არა გაკოტრებული, ნაცები და ევრონაცები.

ამ სამეულს ფუნქციები განაწილებული აქვთ. ხაზარაძე — ფინანსური უზრუნველყოფა, მეუფე იაკობი — ეკლესია, კვირიკაშვილი — საგარეო კავშირები.

სწორედ ეს სამეული იდგა იმ აქციების უკან, რომლებიც, თითქმის ორი წელიწადია, გრძელდებოდა და ბოლოს, 20 ივნისს, სახელწმიფო გადატრიალების მცდელობით დაგვირგვინდა.

ეს სამეული გახლავთ ის ახალი „მხედრიონი“, რომელიც არაფერზე არ დაიხევს უკან. არც სამოქალაქო დაპირისპირების პროვოცირებაზე იტყვის უარს და არც ხელისუფლებაში ძალისმიერი მეთოდებით მოსვლაზე.

ფრთხილად ვიყოთ, ეს არამზადები 90-იანი წლების ქაოსში უპირებენ საქართველოს დაბრუნებას.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 1118

# ის, რასაც ხაზარაძე და ჯაფარიძე ქართველ ხალხს ეთამაშებიან, ჭადრაკი არ არის – ეს „შაშკაა“...

## „ნაციონალები“ სისულელეს სისულელეზე აკეთებენ. გაიძახიან: ივანიშვილი რუსეთზეა ორიენტირებულიო და ამ დროს თვითონ ჰყავთ პირველ პირად გრიშა ვაშაძე, რომელსაც დღესაც ჯიბეში კაგებეს საშვი უდევს



*გვესაუბრება პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე:*

**— ბატონო რამაზ, 20 სექტემბრის აქციის ორგანიზატორებმა ახალი სტრატეგია შეიმუშავეს — კარდაკარ იარონ და ხელისუფლებას ყველგან დისკომფორტი შეუქმნან.**

— დიახ, ამ ჯგუფმა სტრატეგია შეცვალა, აღარ უხსენებიათ რევოლუციის, გადატრიალების მოწყობა და ამ გზით ხელისუფლების დამთავრება. ახლა, მკაფიოდ განაცხადეს: ხელისუფლებას არჩევნებით დავამარცხებთო. დემოკრატიულ რელსებზე გადმოსვლა მისასალმებელია, თუმცა მათ გამარჯვებას არ ვისურვებდი. ამ გუნდის წინაშე ერთი კითხვა მიჩნდება: ვთქვათ, ივანიშვილი პოლიტიკიდან გაუშვეს, სანაცვლოდ



ვინ მოჰყავთ?! ამაზე პასუხს თავს არიდებენ, რაც სავარაუდოს ხდის, რომ მათ „ნაციონალების“ მოყვანა სურთ. ივანიშვილის გაშვებისთვის იბრძვიან, მაგრამ მერე, რა ხდება? სახელმწიფომ ხომ უნდა იარსებოს. როგორი სტრუქტურის სახელმწიფოს შენებისთვის იბრძვიან? — ამაზე პასუხი არ ჩანს, რაც ვიმეორებ, ცხადჰყოფს, რომ ხელისუფლებაში „ნაციონალების“ მობრუნება იგეგმება. ეს ჭკვიანური პოლიტიკა არ არის. როცა პოლიტიკაში ჭკვიანურად არ თამაშობენ, ქვეყანაც უბრალოვდება. თავის დროზე, ბზეჟინსკიმ პოლიტიკურ რეალობაზე დაწერილ წიგნს „დიდი საჭადრაკო დაფა“ უწოდა. პოლიტიკა საჭადრაკო კულტურის ანუ, ინტელექტუალური თამაშის გარეშე, საინტერესო აღარაა. ასეთი პოლიტიკა ქუჩის პროცესებს უფრო ემსგავსება.

**— აქციის ორგანიზატორებმა განაცხადეს: ყველგან ვივლით და არჩევნებამდე ხელისუფლებას სისხლს გავუშრობთო. „ნაცმოძრაობას“, თავის დროზე, არაერთი დანაშაულისთვის პასუხი არავინ აგებინა და ახლა დიდ გულზეა.**

— დიახ, ასეა. დღეს, უკვე, ხელისუფლებამ „ნაცმოძრაობას“ ხელი რომ დააკაროს, მაშინვე აყვირდებიან: პოლიტიკური დევნააო. რამდენიმე წლის წინ იყო პერიოდი, როცა „ნაცმოძრაობისთვისაც“ ძალზედ ცხადი იყო, რომ მათი დევნა პოლიტიკური კი არა სამართლებრივი იყო იმიტომ, რომ ფაქტობრივად, მთელ პარტიას დანაშაული ჰქონდა ჩადენილი. მათთან დაპირისპირება სამართლებრივის ნაცვლად პოლიტიკურ ჭრილში რომ გადავიდა, ეს, რა თქმა უნდა, ხელისუფლების ბრალია.

**— გახარია გაპრემიერებამდე „ნაცებს“ დაჰპირდა 2020 წელს ქუჩაში დაგტოვებთო. იქნებ, სჯობდა ისინი არჩევნებში კი არ დაგვემარცხებინა, არამედ ჩადენილი დანაშაულობებისთვის დაგვესაჯა?**

— მოდით, წარმოვიდგინოთ, ნიურნბერგის პროცესი რომ არ გამართულიყო ფაშისტური ნაციონალისტური პარტია სახლში წავიდოდა? — რა თქმა უნდა, არა. ალბათ, ფაშისტურ პარტიასაც და „ნაციონალებსაც“ ერთნაირი სტრატეგია აქვთ: თუ მათ ვინმე ბრალდებას წაუყენებს, დაიძახებენ: ეს პოლიტიკური დევნა და შეთითხნილი ბრალდებააო. ასე, რომ „ქართულმა ოცნებამ“ გამოტოვა ის მომენტი, როცა შეეძლო „ნაცების“ იურიდიული პასუხისმგებლობის საკითხი წამოეწია. ჯინის ბოთლიდან ამოშვების მერე, ამის მობრუნება, შეუძლებელია. „ქართულმა ოცნებამ“ ეს სისუსტე გამოავლინა იმიტომ, რომ მას ეუბნებოდნენ: რუსული პროექტი ხარ და სააკაშვილს ამიტომ ებრძვიო. ამ საკითხის პოლიტიზირება საერთაშორისო ასპარეზზე მოხდა. „ქართული ოცნება“ იძულებული გახდა კოაბიტაციობანა ეთამაშა. „ნაცები“ გაიძახიან: ივანიშვილი რუსული პროექტიაო, რაც დიდი სიცრუეა. მოდით, ლოგიკურად ვიმსჯელოთ: როცა ივანიშვილი ხელისუფლებაში მოვიდა, მას დასავლეთისთვის ზურგის შექცევა რომ ნდომოდა, სააკაშვილს დევნას დაუწყებდა. იგი არაფრად ჩააგდებდა დასავლეთის პრეტენზიებს — სააკაშვილს ხელი არ ახლოთო და ე.წ. რუსულ პროექტს განახორციელებდა. რატომ დაუთმო ივანიშვილმა დასავლეთს? — ე.ი. მას დასავლეთისკენ აქვს ორიენტაცია, ხომ. „ნაციონალები“ პროპაგანდად ისეთ რამეებს აქცევენ-ხოლმე, რაც გაუთვითცნობიერებელ, დაუფიქრებელ, მარტივ ამომრჩეველზეა გათვლილი. ეს ქართული მოსახლეობის შეურაცხყოფაა. მოსახლეობას უაზრო მასად თვლიან და რასაც უნდათ იმას აჯერებენ. რეალურად კი, ივანიშვილი დასავლეთს ანგარიშს უწევს. იგი იზიდავს დასავლურ ინვესტიციებს და არა რუსულს, როგორც ამას სააკაშვილი აკეთებდა. საერთოდ, როგორ შეიძლება დასავლეთისთვის ზურგის შექცევა, როცა ყველაფერი მასზე გვაქვს აგებული. **ფორმულა — ივანიშვილი რუსული ფიგურაა და რუსეთისკენ, საბჭოთა კავშირისკენ მიგვაქანებსო, სულელებზე არის გათვლილი. რუსეთისკენ ივანიშვილი არ მიგვაქანებს, არამედ რუსეთისკენ, თავის დროზე, სააკაშვილმა გაგვაქანა**, როცა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში რუსის ჯარის დაყენების პირობა შექმნა. სამწუხარო ისაა, რომ დამუნჯებული „ქართული ოცნება“ ამ რიტორიკას თავს ვერ აბამს.

**— სააკაშვილმა სტრატეგიული ობიექტები რუსეთს რომ გადააბარა, დაავიწყდათ?**

— არა, არ დავიწყებიათ, უბრალოდ, ეს, ელემენტარულად, პოლიტიკური უნამუსობაა.

**— დამუნჯებული „ქართული ოცნება“ ახსენეთ. ხალხი დაიღალა „ქართული ოცნების“ პიარით, რომ „ნაცები“ ცუდები არიან. ეს ისევ მათ წინააღმდეგ მოქმედებს — თუ ცუდები არიან, მაშინ მათთან რატომ თანამშრომლობენ?**

— „ქართულმა ოცნებამ“ ბოლო ხანებში გაბედა, დავაჟკაცდა და „ნაცმოძრაობის“ მოღალატეობრივ პოლიტიკაზე ალაპარაკდა.



თუ იცი, რომ ეს მოღალატეობრივი პოლიტიკაა, დააყენე ეს საკითხი უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე, მიეცი შეფასება და გამოიტანე გადაწყვეტილება. თუ ამას არ იტყვი, გაჩნდება მოსაზრება, რომ უნიათო და არაფრისმაქნისი ხელისუფლება ხარ.

**— ბატონო რამაზ, აქციის ორგანიზატორები, „ნაცები“ და „ევრონაცები“ აღნიშნავენ, რომ გახარიას გაპრემიერება სირცხვილია. მოდით, რეალურად, ჩამოვთვალოთ ის სირცხვილები, რაც ამ ნაცსუბიექტების ბიოგრაფიებში არაერთია.**

— არ გვინდა ბიოგრაფიები, ერთი მაგალითის მოყვანაც ყოფნის: **როცა უმაღლესი რანგის პირი, ვანო მერაბიშვილს ვგულისხმობ, ამბობს: ორი „ტრუპი“ მჭირდებაო, რაღაზეა ლაპარაკი. ასევე, როცა პრეზიდენტი ნარკოტიკების გავლენის ქვეშაა და ღმერთმა უწყის რას აკეთებს, სხვა რაზე უნდა ვინსჯელოთ. როდესაც იგივე, პრეზიდენტმა რუსეთის თვითმფრინავის დანახვაზე ფრანგი სტუმარი მიატოვა და მანქანის ქვეშ შეძვრა, კიდევ ვილაპარაკოთ რამეზე? სააკაშვილმა წამოიწყო ომი, რომელიც ხუთდღიანი აღმოჩნდა. აფხაზეთში საქართველომ ბრძოლისუნარიანობა უფრო გამოავლინა. რაც ჩამოვთვალე, ეს სირცხვილი არ არის? ჰალსტუხის ჭამა სირცხვილი არ არის? ამ ადამიანებისთვის ეს მოვლენები სირცხვილი არ არის? მაშინ ეს ადამიანები არიან თავად სირცხვილი**. ცხადია, ახალგაზრდები ვინც „ნაციონალებთან“ და „ევროპულ საქართველოსთან“ ერთად სირცხვილზე ლაპარაკობს, ამ უკანასკნელებსაა აყოლილი. „ნაცების“ და „ევრონაცების“ ეს ჩანაფიქრი და რიტორიკაა სირცხვილი, თორემ, ახალგაზრდები, ამ შემთხვევაში, უბრალოდ, ამ სირცხვილის მსხვერპლნი არიან.

**— ლოზუნგი — ერთი ყველას წინააღმდეგ, დღეს საზოგადოებაში რამდენად მუშაობს?**

— წეღან, ჭადრაკი ვახსენე და ვთქვი: გული მწყდება, რომ ამ ტიპის რიტორიკა ხელს არ უწყობს ხალხის გონიერებაზე გადალაგებას. ანუ, გონიერების ხელშეწყობა არ ხდება. გეტყვით, რას ვგულისხმობ: თუ გონიერი ადამიანი ახლო წარსულს გაიხსენებს, მიხვდება, რომ საზოგადოების პროტესტი სააკაშვილის დროსაც ძალიან მაღალი იყო. როცა სააკაშვილმა ტელეკომპანია „იმედი“ დაარბია, უცხოელებმა ეს საქციელი დაგმეს. შედეგად, სააკაშვილი გადადგა, ოღონდ, მერე, სასწრაფოდ დაქოქა თავისი საარჩევნო მანქანა, რათა ხელმეორე არჩევნებში მოეგო. თუ გადადექი, მაშინ არჩევნებში მონაწილეობა აღარ უნდა მიიღო, აი, რა იქნებოდა ბუნებრივი. მან არჩევნებში ხელმეორედ მიიღო მონაწილეობა და ლევან გაჩეჩილაძეს დაუპირისპირდა. გაჩეჩილაძემ ვერ გაიმარჯვა. არჩევნები გაყალბდა, მაგრამ მან იმდენი ხმა ვერ მიიღო, რომ ეს გაყალბება გადაეფარა. სამაგიეროდ, ივანიშვილმა მიიღო იმდენი ხმა, რომ გაყალბება გადაფარა. რა განსხვავებაა გაჩეჩილაძესა და ივანიშვილს შორის? საზოგადოებაში პროტესტი მაშინაც დიდი იყო და ახლაც; არსებული ხელისუფლების შეცვლის სურვილი მაშინაც იყო და 2012 წელსაც. განსხვავება ის იყო, რომ ხალხმა ივანიშვილში დაინახა კანდიდატურა, რომლის ხელისუფლებაში მოსვლით ქვეყანაში უკეთესობისკენ მეტი ნაბიჯი გადაიდგმებოდა. ივანიშვილი ოცი წელი ქველმოქმედებას ეწეოდა და ეს მისი იმიჯის ნაწილი გახლდათ. ამდენად, საზოგადოებისთვის ეს საკითხი სულერთი არ არის. „ნაციონალებს“ ყოვლად მცდარი სტრატეგია აქვთ: ოღონდ, ხელისუფლება გადავაგდოთ და დანარჩენს მერე მივხედავთო. არა, ბატონებო, საზოგადოების

აზროვნება ასე არ არის მოწყობილი. ხალხი ხელისუფლებას ისე არ შეცვლის თუ არ ეცოდინა სანაცვლოდ ვის სთავაზობენ. საზოგადოებამ ცვლილებას იმ პერიოდში დაუჭირა მხარი, როცა სააკაშვილი ადამიანებს ციხეში აწამებდა. დღეს, ეს მუხტი არ არის. ახლა, არ არის იმის განცდა, რომ თუ ეს ხელისუფლება არ გადავაგდეთ, შეიძლება მან ყველა ჩვენგანის სიცოცხლეს საფრთხე შეუქმნასო. ახლა სულ სხვა ვითარებაა. სააკაშვილის პერიოდში პოლიცია მოქალაქეებს ესროდა, დანაშაულზე მიდიოდა, დღეს ეს სიტუაცია არ არის. იმ პერიოდში პოლიცია იჭერდა ადამიანებს, რათა მათთვის ქონება წაერთმიათ. ახლა, ასე არ არის. ამიტომ „ნაცების“ მიერ იმ ფორმულის წამოყენება: თუ ეს ხელისუფლება არ გადავაგდეთ ქვეყანა დაიღუპება, არასწორია. თუ საზოგადოებამ არ გაიგო, მას რას სთავაზობ, ისე ნდობის მანდატს არ მოგცემს. თუ სხვაგვარად გგონია ე.ი. ამ საზოგადოებას, არ იცნობ. აბსოლუტურად არასწორია



ფორმულა, რითაც „ნაცმოძრაობა“ და „ევროპული საქართველო“ მოქმედებს — ოღონდ, ივანიშვილი გადავაგდოთ და მერე ჩვენ ვიცით და ჩვენმა ბიჭობამო. ყველა ერთის წინააღმდეგ — ეს მომგებიანი იყო მხოლოდ ივანიშვილის პირობებში. მაშინ საზოგადოება ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლისთვის გაერთიანდა. დღეს, თუ არ დაინახეს ალტერნატივად ვის სთავაზობენ, არ გაერთიანდებიან. აი, თუ ხალხმა დაინახა, რომ ამ გაერთიანებით სააკაშვილს უპირებენ მოყვანას, „ნაცები“ იმ 9%-საც დაკარგავენ, რაც აქვთ. ეს გზა თავიდანვე მარცხისთვისაა განწირული. თუ დააკვირდებით, „ნაცებმა“ 2012 წლის მერე ვერცერთ არჩევნებში ვერ გაიმარჯვეს. რატომ? — არ უნდა ხალხს „ნაციონალები“ და ეს ვერაფრით შეიგნეს.

**— როგორც აღნიშნეთ, „ნაცები“ ხალხს არწმუნებენ რუსულ პროექტს ვებრძვითო. ომი პრო-დასავლელებსა და პრო-რუსებს შორის მიდის. პრო-ქართველი სად არის?**

— გიორგი ბრწყინვალემ მტრებთან ურთიერთობა შესანიშნავად დაალაგა (მაშინ საქართველო ოკუპირებული იყო, ხომ). როგორ ფიქრობთ, იგი პრო-ქართველი იყო თუ პრო-მონღოლი? ანუ, საკითხის ასე დაყენება მოსახლეობის იდიოტობაზე არის გათვლილი. იმიტომ, რომ ევროპაზე ორიენტაციას ალტერნატივა არ აქვს. ევროპა ყველაფერში გვეხმარება, რუსეთი კი ვერ დაგვეხმარება, მას ამის არც სურვილი აქვს და არც ფინანსები. აფხაზეთისა და ცხინვალის ტერიტორიაზე შენობები იმავე მდგომარეობაშია, რაც ომის შემდეგ იყო. რუსეთი მათ რეაბილიტაციასაც ვერ ახერხებს. ასე, რომ რუსეთზე ორიენტაცია გულისხმობს იმ მდგომარეობაში ჩვენი ქვეყნის ჩაგდებას, რაშიდაც დღეს აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონია. ივანიშვილი ამაზე რომ წავიდეს, მერე მოსახლეობა აჯანყდება და ასეთ პოლიტიკოსს მოიშორებს. ასე, რომ ამ ვარიანტში რუსეთზე ორიენტაცია ქვეყნისთვისაც წამგებიანია და კონკრეტული პოლიტიკოსისთვისაც. განა, ჰგავს ივანიშვილი ისეთ ადამიანს, რომელიც წამგებიან ნაბიჯებს გადადგამს? ივანიშვილი რაციონალური, პრაგმატული ადამიანია. ვინმეს ჰგონია, რომ იგი იმ რუსეთზე აიღებს ორიენტაციას, რომელსაც დღეს მსოფლიოში მეგობარი და გულშემატკივარი არ ჰყავს? რუსეთი გარიყულია და მხოლოდ შიშის გამო აქვთ მასთან ურთიერთობა. ამას თუ არ დააკვირდები, მაშინ სულ იძახებ: ივანიშვილი რუსეთში გვაბრუნებსო. „ნაცების“ მხრიდან ეს სულელური ლოზუნგია. თუ ატყობთ, ნელ-ნელა, „ნაცების“ სისულელეების გაშიფვრას ვიწყებ. ახალგაზრდებს ეუბნებიან: ივანიშვილი რუსეთში გვაბრუნებსო. „ნაცები“ ერთ რამეს არ უფიქრდებიან: ამით, შეიძლება, ივანიშვილის პროპაგანდას ეწევიან მოსახლეობის იმ ნაწილში, ვისაც რუსეთში დაბრუნება დიდ უბედურებად სულაც არ მიაჩნიათ. ივანიშვილი არავის დააბრუნებს რუსეთში. აგერ, უზარმაზარი უნივერსიტეტის მშენებლობა აქვს წამოწყებული გერმანელ და სხვა დასავლეთის უმაღლესებთან ერთად. ხომ შეეძლო რუსულ უმაღლესებთან წამოეწყო ეს საქმე, მაგრამ არა! იგი დასავლეთზეა ორიენტირებული. „ნაცებს“ ჰგონიათ, ამ პროპაგანდით თვითონ მეტ ხმებს მიიღებენ, არადა პირიქითაა — ასე ხმებს დაკარგავენ. ასე, რომ „ნაციონალები“ სისულელეს სისულელეზე აკეთებენ. გაიძახიან: ივანიშვილი რუსეთზეა ორიენტირებულიო და ამ დროს თვითონ ჰყავთ პირველ პირად გრიშა ვაშაძე, რომელსაც დღესაც ჯიბეში კაგებეს საშვი უდევს. „ნაცები“ იმით სარგებლობენ, რომ ამ ულოგიკო, აბსურდული პროპაგანდის წინააღმდეგ „ქართული ოცნების“ მოლაპარაკე თავები, თუკი ასეთები საერთოდ არსებობენ, დისკუსიას ვერ ახერხებენ. აქ, უზარმაზარი ფრონტია გასაშლელი, მაგრამ არ იშლება.



**— ბატონო რამაზ, რასმუსენის შემოთავაზებაზე რას იტყვით?**

— ეს წინადადება საქართველოსთვის მისაღები არ არის. როგორც კი ამ შეთავაზებას დავთანხმდებით, ეს ნიშნავს, რომ ნატოს ბაზები კანონიერად განთავსდება იმ ტერიტორიაზე, სადაც დღეს ჩვენი იურისდიქცია ვრცელდება. რუსეთმა, წესით, ავტომატურად უნდა მიიერთოს აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი ე.წ. სამხრეთ-ოსეთი ისევე, როგორც ყირიმი მიიერთა და იქ, საპასუხო ბაზები ჩადგას. ვის ინტერესებშია ეს? — რა თქმა უნდა, რუსეთის. მას სჭირდება საბაბი, რათა ეს ტერიტორიები მიიერთოს. სხვაგვარად ამას მყვირალა ანექსიის ფორმა ექნება. მაგრამ თუკი ნატოს ბაზები რუსეთის საზღვართან განთავსდა, ასე, უკვე ტერიტორიების მიერთებას თავდაცვის იერი ექნება. რუსეთი საბაბს ეძებს ისევე, როგორც ეს 2008 წელს სჭირდებოდა, რათა საქართველოს ცხინვალი დაებომბა იმისთვის, რომ მერე, თავად იქ, ჩამოსულიყო. ახლაც, საბაბი სჭირდება, რათა თქვას, რომ თავის დაცვაზე ზრუნავს. ეს რუსეთის წისქვილზე ასხამს წყალს. ეს იდეა ქართული ინტერესებით არ არის ნაკარნახევი. ნატოში შესვლა იმიტომ გვინდა, რომ წართმეული ტერიტორიებისთვის ბრძოლის საფუძველი მეტად გვქონდეს. თუ რუსეთი ამ ტერიტორიებს თავის იურისდიქციაში გადაიტანს, ჩვენი ბრძოლა ტერიტორიების დასაბრუნებლად კიდევ უფრო გართულდება. რასმუსენის წინადადებას „ნაცებმა“ დაუჭირეს მხარი, რაც გასაკვირი სულაც არ არის.

**— ორ ზღვას შუა ძველისძველი საომარი იყო ლელო...**

— ... კი, მაგრამ მე ამ სიტყვაზე კიდევ ერთი რამ მახსენდება: „ლელო“ საქართველოში ძალიან პოპულარულ სპორტულ გაზეთს ერქვა. რომელი მნიშვნელობით ხმარობს ხაზარაძე სიტყვა „ლელოს“ — როგორც გაზეთის სახელს თუ როგორც გალაკტიონის გულის ტკივილის მეტაფორას, დრო გვიჩვენებს. მე, ისევ და ისევ ჭადრაკის დაფა და გონიერი მოჭადრაკე მსურს, რომელიც რაღაც სვლას ბევრი ფიქრის შემდეგ გააკეთებს. თუკი გამარჯვების ხაზთან მისასვლელად ავტომატურად აკეთებ გადაადგილებებს, ამას შაშკი ჰქვია. მამუკა ხაზარაძეს და ბადრი ჯაფარიძეს წლებია ვიცნობ, მაგრამ ძალიან მეცოდებიან პოლიტიკისთვის, თუკი ისინი იმ შეცდომების დაშვებას გააგრძელებენ, რაც უკვე დაუშვეს. ხაზარაძე 20 სექტემბერს მიტინგზე არ უნდა მისულიყო. მან განაცხადა: ნეიტრალური ვარ და არავისკენ არ ვიხრებიო. მაშინ მიტინგზე არ უნდა გადახრილიყო. რადგან გადაიხარა იგივე მოუვა რაც პაატა ბურჭულაძეს დაემართა. მით უმეტეს, ბურჭულაძე უფრო მომგებიან პოზიციაში იყო — საქართველოში მომღერლები უყვართ, ბანკირები — არა. როგორც კი ხალხმა დაინახა, რომ ბურჭულაძე „ნაცმოძრაობისკენ“ გადაიხარა, მან რეიტინგი დაკარგა. ხაზარაძე „ნაცებისკენ“ არ უნდა გადახრილიყო. ელისაშვილი ყველაზე ჭკვიანი გამოდგა. იგი, მერის არჩევნების დროს მიხვდა, რომ დამოუკიდებელი უნდა ყოფილიყო და კიდეც აიღო მეორე ადგილი. ხაზარაძეს არ უნდა მიეწებებინა პოლიტიკური ძალის — „ნაციონალების“ იარლიყი, მისი შანსები შემცირდა.



**— ზოგადად, რას უნდა ველოდოთ 2020 წლის არჩევნებზე ასეთი გაკოტრებული პოლიტიკური სპექტრისგან?**

— თუ მოსახლეობის დიდი ნაწილი არჩევნებზე არ მივიდა, „ქართული ოცნების“ ის პროცენტი, რაც „ენ-დი-აიმ“ გამოაქვეყნა, გაორმაგდება და გახდება 40%. როცა წინ ერთი წელია და მეტოქები ასეთ სისულელეებს აკეთებენ, „ქართული ოცნებისთვის“ გამარჯვება რთული არ უნდა იყოს. მით უმეტეს, რომ ახლა, ცენტრალური ფიგურა გახარია ხდება, რომლის ანალოგიურად გამბედავი და გამჭრიახი ფიგურა ოპოზიციას არ ჰყავს. გახარიას პოლიტიკაში საჭადრაკო სტილი აქვს და არა შაშკის. ოპოზიციას მსგავსი არაფერი გააჩნია. **„ქართული ოცნება“ არჩევნებში ისე აიღებს უმრავლესობას ვინმესთან ალიანსიც არ დასჭირდება და სხვა პარტიებს გავლენის გარეშე დატოვებს.**

— ბატონო რამაზ, „რუსთავი-2“ დავხურეთ, მაგრამ სამაგიეროდ ორი ახალი „რუსთავი-2“ მივიღეთ. თანაც, გვარამია დასაჭერია და ამ დროს ტელევიზიას ხსნის. ეს რას ნიშნავს?

— მე, თუ მკითხავთ „რუსთავი-2“-ს თავიდან თმაც არ უნდა ჩამოვარდნოდა. ეს ხელისუფლება სხვაგვარად მოიქცა და ერთი ოპოზიციური ფრონტის მაგივრად, ორი მიიღო. კიდევ მიიღებს სამს და ოთხს იმიტომ, რომ დღეს, ტელევიზიის გახსნა, პრობლემა არ არის. ივანიშვილმა თქვა: „რუსთავი-2“ სიცრუის ტირაჟირებას ახდენსო. კი ბატონო, მაგრამ დატოვე ეს სიცრუის მანქანა და მოსახლეობას აჩვენე, რომ ეს სიცრუეა. თუ სიცრუის მანქანას შეებრძოლები, მოსახლეობაში განცდა გაჩნდება, რომ იქ, სიმართლის მარცვალია. „რუსთავი-2“-ს რეიტინგი ჰქონდა, მაგრამ ნდობის ხარისხი — ნული. ხელისუფლებისთვის უფრო მომგებიანი იქნებოდა „რუსთავი-2“-ის საინფორმაციო და არა იურიდიულ სივრცეში დამარცხება. სამწუხაროდ, ხელისუფლებას პოლიტიკის მიმართ მგრძნობელობა დაჩლუნგებული აქვს.




თამარ შველიძე
555 23 28 24

# სად არის და ვინ განაგებს „ნაცების“ „ობშიაკს“, რომელიც საქართველოდან გატაცებული მილიარდებით ივსებოდა?



ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ვსაუბრობდით, თუ როგორ ხდებოდა რუსეთსა თუ საქართველოში ჩინოვნიკების მიერ მოპარული ფულის საზღვარგარეთ, ოფშორულ ზონებში გადაქაჩვა, პოსტსაბჭოთა სივრცის კომერციული ბანკების მეშვეობით. დავით გაგნიძეს და სხვა კომპეტენტურ ადამიანებსაც არაერთხელ უსაუბრიათ, რომ ბანკები, მათ შორის ქართული, აქტიურად არიან უკანონო ფულის „გათეთრებაში“. ამ პროცესში მნიშვნელოვანი ყოფილა ნაღდი ფული, სწორედ ის გარანტია, რომელიც მავანთ მილიარდობით დოლარს „აკეთებინებს“. ბანკები ისე გასცემენ სოლიდურ პროცენტიან კრედიტებს, რომ მნიშვნელობა არ აქვს ვინ არის მიმღები, მთავარია, მსესხებელს „კომპეტენტური“ პირი დაუდგეს თავდებად, ამ უკანასკნელში მაღალჩინოსნები ან სპეცსამსახურები იგულისხმება, რადგან ეს ფული მათ ნდობით აღჭურვილ პირს ან სპეცსამსახურის წარმომადგენელს ჭირდება, რომ კრიმინალური საქმიანობა დაიწყოს, რომელიც დამატებით შემოსავალს მოიტანს. კრედიტის ამღები შეიძლება თავისი ქვეყნის პატრიოტიც იყოს, მაგრამ საეჭვოა, ვერ ხვდებოდეს, რომ ასეთი ბინძური „მოღვაწეობით“ ნაშოვნი ფული, ღირსეულ ქვეყანას არ გამოადგება, სარგებელს ვერ მისცემს, რადგან წინასწარ განწირულია. მსესხებელი, ხშირ შემთხვევაში, ნარკოსინდიკატის წარმომადგენელი სერიოზული ფიგურა ყოფილა. ნაღდი ფული შეაქვთ ოფშორულ ბანკებში, ანუ „ფინანსურ სამოთხეში“, სადაც საერთოდ არ ეკითხებიან ამ უზარმაზარი შენატანების წარმომავლობას, შემდეგ ეს ნაღდი ფული გადაირიცხება იმ ბანკში, საიდანაც კრედიტია გამოტანილი, ამას გარდა, რადგან კრედიტორს საკომისიო აქვს გადასახდელი ნარკოოპერაციების მოგებებიდან, იმავე ბანკიდან უნაღდო კრედიტებს იღებენ, ანუ ფარატინა ხელშეკრულება ფორმდება. სიმართლე გითხრათ, ამ სქემამ უნებლიედ გამახსენა ხაზარაძის „თიბისი ბანკისა“ და ბიზნესმენ ავთანდილ (ჭუტა) წერეთელს შორის 17-მილიონიანი კრედიტომანია, რის გამოც იქცნენ ხაზარაძე-ჯაფარიძე და წერეთელი ბრალდებულებად და მრავალათასიანი გირაოების გადამხდელებად. მსოფლიო ექსპერტების განცხადებით, ბანკები ხშირად ახორციელებენ ზემოხსენებულ ოპერაციებს და დიდი წარმატებითაც. გაცემული ფულის ზედმეტობას კი შემდეგნაირად ასწორებენ — ნარკოსინდიკატის წარმომადგენელი იმავე ოფშორული ზონიდან დამატებით გადააგზავნის თანხას, ოღონდ



ეს ფული სხვის სახელზეა გაფორმებული და თავის ანგარიშზე დასვამს. რესპოდენტის განცხადებით, მსხვილი თანხები ყოველთვის ერთ ბანკში ვერ გადაიგზავნება და ვერც კრედიტები გაიცემა, ამიტომაც არსებობს ბანკების ქსელი. ბანკები ვალდებული არიან სახელმწიფოს მოგების გადასახადი გადაუხადონ, დაბეგვრისგან თავის დასაძვრენადაც „მშვენიერი“ სქემა აქვთ შემუშავებული, ნარკოსინდიკატების წარმომადგენლებს ანაბარი ნაღდი ფულით შეაქვთ, ვთქვათ, 10 დოლარი იმ გარანტიით, რომ 50 დოლარს მიიღებს, ოფიციალური დოკუმენტაციიდან ისე ჩანს, რომ კონკრეტულ ბანკს სულაც არ აქვს დიდი მოგება. იქიდან გამომდინარე, რომ ამგვარი ოპერაციებით ნარკოსინდიკატების შემოსავალი სულ უფრო იზრდება, მათი მესვეურები სხვადასხვა ქვეყნების ბანკებს აიძულებენ, რომ გაურიგდნენ და ანალოგიური ოპერაციები ჩაატარონ.

დავით გაგნიძე: „ფულის „გარეცხვის“ სხვა მეთოდებიც არსებობს, ეს „ბატონები“ საქართველოსნაირ ფაქტობრივად შეუმდგარი სახელმწიფოების კომერციულ ბანკებში გახსნიან ანგარიშებს, შეიტანენ თანხას, შემდეგ ვითომ სადღაც გადარიცხავენ, ეს ფული შემოივლის რამდენიმე უცხოურ ბანკს და „სუფთა“ სახით უკან დაბრუნდება, რასაც „დანიშნულებისამებრ“ გამოიყენებენ. ადრეც მითქვამს, რომ ამ საქმეში ჩართული იყვნენ კაზინოები, სადაც ვითომდა დიდი მოგებების საშუალებით ხდება ფულის გათეთრება, მაგრამ ბანკებს ვერაფერს გამოაპარებდნენ და ისინი თავიანთ „საკომისიოს“ ყოველთვის ღებულობენ. უკვე ისეთი ვითარებაა, თუ ამგვარი მაქინაციები არ მოხდა, მსოფლიო ფინანსური ბაზარი საპნის ბუშტივით გასკდება, უბრალოდ, დროის საქმეა. ერთადერთი „ხსნა“ დიდი ომის ინსპირირებაა, რისი ნიშნებიც სამწუხაროდ, უკვე აშკარაა. 2008–2009 წლების ეკონომიკური კრიზისის დროს, ნარკომაფიამ მსოფლიო საბანკო სისტემის დასახმარებლად, 352 მილიარდი აშშ დოლარი გადაისროლა და როგორც ზოგიერთი ექსპერტი აცხადებს, ამის შემდეგ უფრო მეტად შეეზარდნენ ერთმანეთს ბანკები და ნარკოსინდიკატები. ნარკომაფიამ თავისი კაპიტალი კიდევ უფრო გაზარდა, რადგან უმსხვილესი ბანკების მმართველობის წევრები გახდნენ. ნაციონალების დასავლელი „პატრონები“, რომ ხაზარაძე და სხვა მაგ ჯურის „დანიშნული“ ბანკირ-ბიზნესმენები ანგელოზებად გამოყავთ და მხარს უჭერენ არც არის გასაკვირი. სააკაშვილმა ამ „ნიჭიერი“



ხალხის ნაწილი გადაიბარა და თვითონაც უქმნიდა სასათბურე პირობებს, ხომ ნახეთ როგორ დაამუნათა ხაზარაძე, უმადურობაში ამხილა. არ დაგავიწყდეთ, რომ ჟვანია-სააკაშვილის გუნდი, რომლებიც საკუთარ თავს „ახლგაზრდა რეფორმატორებს“ უწოდებდა, „ვარდების რევოლუციამდეც“ დიდ ფულს შოულობდა. თუ არ ვცდები, შევარდნაძის მმართველობისას საქართველოს ბიუჯეტი დაახლოებით ნახევარი მილიარდის ლარი იყო, სააკაშვილის მმართველობისას გაიზარდა, ბოლო წლებში ცხრა მილლიარდ ლარამდე იყო. ნაციონალები რომ ამბობდნენ და იმეორებენ, შევარდნაძემ საქართველო კორუფციის ჭაობში ჩაძირა, თორემ მაშინაც შეიძლებოდა ამხელა ბიუჯეტი ყოფილიყო თუ იქნებოდა პოლიტიკური ნება და შესაბამისი ადმინისტრირებაო, იმაზე რატომ არაფერს ამბობენ, ის 8,5 მილიარდი ლარი ბიუჯეტში რომ არ ხვდებოდა, სწორედ მაგ ე.წ. რეფორმატორებს მიუძღვოდათ ლომის წილი. განსაკუთრებით მას შემდეგ გაშალეს ფრთები, მიხეილ სააკაშვილი პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე რომ გახდა.ე.წ. რეფორმატორები შევარდნაძის მმართველობის დროსაც დიდ ძალაუფლებას ფლობდნენ და ბევრ რამეს განკარგავდნენ, შევარდნაძე კი მათ თვითნებობაზე თვალს ხუჭავდა. ჟვანია-სააკაშვილი მაშინდელ ბიზნესმენებს, უფრო სწორედ, ვაი-ბიზნესმენებს „წილებში“ კი არ უჯდებოდნენ, თავხედურად უხტებოდნენ, სატელევიზიო სასამართლოებს უწყობდნენ, ყველას თავის „სტავკებს“ უწერდნენ, ამდენი არ შეგიტანია სახელმწიფო ბიუჯეტშიო. ვინმეს ჰგონია, რომ ეს კონტიგენტი ბიუჯეტისთვის იღწვოდა? ესენი ფულს თავად „აწერდნენ“ ბანკირებსა თუ ბიზნესმენებს და ოფშორულ ზონებში გაჰქონდათ. შემდეგ ეს ფული უკან ბრუნდებოდა ე.წ. გრანტის სახით, იქმნებოდა და მსუყედ ფინანსდებოდა არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ძირს უთხრიდნენ მარტო შევარდნაძის ხელისუფლებას კი არა, მთელ საქართველოს. ტყუილად კი არ ამბობდნენ, რომ „ახალგაზრდა რეფორმატორების“, შემდგომ ნაციონალებად წოდებულების გარეშე გრანტს ვერავინ მიიღებსო. ახლაც იგივე არ ხდება? სოკოებივით მრავლდებიან ეს „ენჯეოები“, რომელთაც დაფინანსება არ აკლიათ, სახელმწიფოს წინააღმდეგ მავნებლური საქმიანობის საწარმოებლად. წლებია საზოგადოების საღად მოაზროვნე ნაწილი სრულიად სამართლიანად ითხოვს, რომ გაირკვეს ამ ე.წ. სამოქალაქო სექ-



ტორის დაფინანსების წყაროების წარმომავლობა.

„ვარდების რევოლუციამდე“ თუ „პარტიზანულად“ ითვისებდნენ ე.წ. ახალგაზრდა რეფორმატორები თანხებს, რომლის ოფშორში ექსპორტს ახდენდნენ თუ ადგილზე მოხმარებას, 2003 წლის მიწურულიდან უკვე ოფიციალურად გაჰქონდათ ბიუჯეტიდან ფული, სააკაშვილს ხომ საერთოდ, საკუთარ ჯიბედ მიაჩნდა ბიუჯეტი. მარტო საბიუჯეტო თანხებზე არ არის საუბარი, ვგულისხმობ, ბიზნესმენებისთვის „ახეულ“ ფულს. შევარდნაძესთან დაახლოებულ ერთ პირს, ოფიციალურად, ბიუჯეტის სასარგებლოდ 30 თუ 40 მილიონი გადააახდევინეს, სინამდვილეში კი მას თურმე 120 მილიონი „ააზიეს“. ასეთი ფაქტები უამრავი იყო. დაგვავიწყდა ნაციონალების ე.წ. შავი ფონდი, სადაც მავანთათვის „შეწერილი“ კოლოსალური თანხები მიედინებოდა, სად არის დღეს ეს ფული? დიდი ეჭვი მაქვს, რომ საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებს ხმარდება. შსს-ში უამრავი ოპერატიული ინფორმაცია იყო შემოსული, როგორ ირიცხებოდა შევარდნაძისა და სააკაშვილის მმართველობის დროს უცხოურ ბანკებსა თუ ოფშორულ ზონებში საქართველოში მიტაცებული თანხები, ვის ანგარიშზე და რომელი ბანკის მეშვეობით. ამ ინფორმაციებს სერიოზულ დამუშავება ჭირდება. ლარის კურსი მერყეობს, ინფლაციის მაღალი მაჩვენებელია, ეკონომიკა არ ვითარდებაო, რომ გაჰკივიან ვიღაც-ვიღაცები, ზუსტად მაგათ გააპარტახეს ქვეყანა და ხალხისთვის მოპარული ფული უცხოეთში გაზიდეს. შევარდნაძის დროსაც სასათბურე პირობებში იყვნენ და არც სააკაშვილის დროს დაუკარგავთ გავლენები. მე თვითონ ვარ შემსწრე, როგორ ნიშნავდა ეს კასტა შსს-ში მაღალ თანამდებობებზე თავიანთ პროტეჟეებს. თუ ვინმეს დაავიწყდა, გავახსენებ, როგორ დასდევდნენ კუდში „დიდ“ ბიზნესმენს, შევარდნაძის ძმისშვილ გოგი შევარდნაძეს ეს „ნიჭიერ-წარმატებულები“. რუსეთში იშოვეს ფული, საქართველოში ჩდაბრუნდნენ და ისევ რუსეთის მეშვეობით მდიდრდებოდნენ, ახლა თურმე აღარ უნდათ რუსეთი, პროდასავლელები გახდნენ და თურმე ბიძინა ივანიშვილი, გიორგი გახარია, ირაკლი ღარიბაშვილი და საერთოდ, ყველა ეროვნულად მოაზროვნე ადამიანი პრორუსი, უფრო მეტიც, კრემლის აგენტი ყოფილა. აი, ამ მდიდარ, კომერციული ნიჭით „დაჯილდოებულ“ საქმოსნებს, წინა პლანზე რომ არიან გამოსული და ზოგიერთს პოლიტიკაში მოსვლაზეც აქვს



პრეტენზია, ელცინის კლანმა, ანუ ე.წ. ლიბერალურმა ფრთამ აშოვნინა ფული, ახლა სწორედ მაგათ აღარ უნდათ რუსეთთან ურთიერთობა. მიზეზი არ გაინტერესებთ? რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობები რომ აღ-



დგეს და დალაგდეს, მით უმეტეს, სახელისუფლებო დონეზე, იციან, რომ რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ამათაც ისევე აგებინებს პასუხს სავარაუდო დანაშაულობებისთვის, როგორც რუსეთში მცხოვრებ „ბიზნესკორიფეებს“. საქართველოს მოსახლეობას არ უნდა რუსეთთან ურთიერთობაო, სად და როდის ჩაატარეს ეს გამოკითხვა და ხალხმა უარი თქვა? ხალხი არაფერ შუაშია, ეს ე.წ. ბიზნესმენები, ასე ვთქვათ, თბილისური მაფია საკუთარ ტყავს უფრთხილდება. რუსეთში ან რუსების ბიძგით დაიწყეს „ბიზნესმოღვაწეობა“, რომ იტყვიან რუსების მონები იყვნენ, მერე დიდი ფული რომ იშოვნეს, ჩვენი სამართალდამცავი სტრუქტურების თავისი ხალხით დაკომპლექტება დაიწყეს. ამ პენსიონერი ბრალდებულის „დამსახურებად“ თვლიდნენ შსს-ს ერთ-ერთი მაღალჩინოსნის წარმატებულ კარიერას, რიგითი თანამშრომელი თავისი დაცვის უფროსად წაიყვანა, კერძო ბიზნესიდან მობრუნებული ეს პერსონა ცოტა ხანში სამინისტროს აპარატში განყოფილების უფროსად დანიშნეს და გაცილებით მაღალი თანამდებობებიც გამოიცვალა. სააკაშვილის მმართველობის დროსაც შეინარჩუნეს გავლენები ძალოვან სტრუქტურებში ამ პერსონის და საერთოდ, კლანის პროტეჟეებმა, „ქართული ოცნების“ მმართველობის დროსაც გადმოყვნენ ეს არაფრით გამორჩეული, უბრალოდ კარგად „დაკრიშული“ კადრები. ჩემი ინფორმაციით, გიორგი გახარიას შს მინისტრობის დროს დაიწყო სისტემის ასე ვთქვათ, გაწმენდა, რაც მისასალმებელია. განსაკუთრებით კი ისაა მისასალმებელი, რომ ამ ვითომდა „ელიტარების“ გავლენების შესუსტების და სავარაუდო დამნაშავეების პასუხისგების პროცესი დაიწყო“.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24



# გამარჯობა ანგი!

## ახლა თქვენ გააღეთ პირი და თქვით, როგორ და რანაირად მოაწერინეთ ხელი პრეზიდენტს სამი მკვლელის და ერთი ძებნილის შეწყალებაზე?

2018 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს „საერთო გაზეთი“ ღიად უჭერდა მხარს სალომე ზურაბიშვილის კანდიდატურას.

რედაქციის სურვილს, არჩევნებში კგბ-ს კადრს, ფაქტობრივად, რუს პოლიტიკოსს ვაშაძეს არ გაემარჯვა, საზოგადოების საღად მოაზროვნე ნაწილის განწყობაც დაემთხვა.

თითქმის სამი თვის განმავლობაში ნომერი არ გამოსულა, სადაც ზურაბიშვილის მხარდამჭერი სამი-ოთხი მასალა არ დაბეჭდილიყო.

ამ მასალების ავტორები თუ ჩვენი რესპონდენტები ავტორიტეტული, პატივსაცემი ადამიანები იყვნენ, რომელთა სიტყვასაც საზოგადოება ანგარიშს უწევს და ყურს უგდებს.

ვიფიქრე, საქმისთვის სასიკეთო და სასარგებლო იქნებოდა თუ ამ წერილებს არა მარტო ჩვენი გაზეთის მკითხველები, არამედ უფრო ფართო აუდიტორია გაეცნობოდა.

დავრეკე ზურაბიშვილის საარჩევნო შტაბში.

იქ ერთმა მეორესთან გადამამისამართა, მეორემ — მესამესთან, იმ მესამემ კი მითხრა: მე ახლა თქვენთან იმ ადამიანს დავარეკინებ, რომელიც ამ საქმეს კურირებსო.

ცოტა ხანში მართლაც დამირეკეს.

ზუსტად გადმოგცემთ ახლა იმ საუბრის ტექსტს:

— მთხოვეს, რომ თქენთან დამერეკა. ვინ ბრძანდებით თქვენ და რა გნებავთ?

— მე ვარ ვახტანგ ხარჩილავა, „საერთო გაზეთის“ მთავარი რედაქტორი...

— ეს „საერთო გაზეთი“ საიტია თუ ჟურნალი?

— „საერთო გაზეთი“ ჟურნალი როგორ იქნება, გაზეთია.

— რას ბეჭდავთ, მერე, ამ გაზეთში?

— გაზეთში რას უნდა ვბეჭდავდეთ? ვბეჭდავთ წერილებს, ინტერვიუებს, სხვადასხვა სახის მასალებს.

— ჩვენგან რა გნებავთ?

— ჩვენ სისტემატურად ვაქვეყნებთ ქალბატონი სალომეს მხარდამჭერ მასალებს. კარგი იქნება, თუ ამ მასალებს თქვენს საიტებზეც გადაიზიარებთ და რაც შეიძლება მეტ ადამიანს გააცნობთ. ელექტრონულ ვერსიას თქვენს ფოსტაზე გადმოგიგზავნით და გაავრცელეთ.

— არ ვიცი, რამდენად მოხერხდება ეს...

— მოუხერხებელი რა არის? არაფერს არ ვითხოვთ თქვენგან... გამზადებულ მასალებს გადმოგიგზავნით და თქვენს საიტებზე განათავსეთ.

— არა, არა, არ გამოვა ეს ამბავი...

— რა გქვიათ თქვენ?

— მე ანგი ვარ, ხუციშვილი.

— ანგი ხუციშვილო, დამთავრდეს არჩევნები და აუცილებლად გავარკვევ, როგორ მოხვდით თქვენ მანდ... — ასე დამთავრდა ჩემი საუბარი ვინმე ანგისთან.





ანგისთან საუბარმა გაოცებული და პირდაღებული დამტოვა, თუმცა არჩევნების დამთავრების მერე გაბრაზებამ გამიარა და ანგის მოძებნა და მისი ვინაობის დადგენა არ მიცდია, თუმცა ბედმა ისე ინება, რომ ანგი თვითონ გამომეცხადა ტელეეკრანებიდან.

როგორც ირკვევა, სწორედ ბატონი ანგი ბრძანდება ის პირი, ვინც უშუალოდ არის დაკავშირებული პრეზიდენტის მიერ შეწყალებული სამი მკვლელის სკანდალურ საქმეებთან.

პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა დიმიტრი გაბუნიამ პირდაპირ ხელი დაადო პატივცემულ ანგის — შეწყალების დეპარტამენტს, რომელსაც შესაწყალებელ პირთა დოკუმენტაციის მომზადება ევალებოდა, ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე კურატორობდაო.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე კი სწორედ ის ანგი ხუციშვილი ბრძანებულა, რომელიც გაზეთს ჟურნალისგან ვერ არჩევს და რომელმაც არჩევნების დროს ჩვენი მცდელობა სალომე ზურაბიშვილის საარჩევნო კამპანიისთვის რაღაცით დაგვეჭირა მხარი, დაბლოკა.

მოგვიანებით გავიგე, ზურაბიშვილის საარჩევნო შტაბში მხოლოდ „საერთო გაზეთის“ მიმართ არ გამოუყენებიათ „რეპრესიული“ მეთოდები, ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო და შტაბში მისულ ზურაბიშვილის მხარდამჭერებს, თურმე სხვადასხვა მოტივებით იშორებდნენ თავიდან.

თქვენ გახსოვთ ტელევიზიების მიერ გავრცელებული კადრი — სალომე ზურაბიშვილთან ახალგაზრდა კაცს ქაღალდების დასტა რომ შეაქვს ხელმოსაწერად და პრეზიდენტიც ხელს აწერს?!

აი, ეს ახალგაზრდა კაცია ანგი ხუციშვილი — პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე, შეწყალების დეპარტამენტის კურატორი.

პროკურატურამ საქმის გამოძიება უკვე დაიწყო და იმედია, ანგი ხუციშვილსაც მოუწევს იმის თქმა, როგორ და რა გზებით მოხერხდა პრეზიდენტისთვის ხელი მოეწერინებინათ შესაწყალებელთა ისეთ სიაზე, რომელმაც მთელი საქართველო აღაშფოთა, გააოცა და გააოგნა თავისი ალოგიკურობით და არაადექვატურობით.

თუმცა ამ ალოგიკურ ამბავში მაინც არის ერთი მყარი ლოგიკა — იქ, სადაც ადამიანების ბედს ხუციშვილისნაირი „პროფესიონალი“ კადრები წყვეტენ, ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

აკი, მოხდა კიდევაც და მოხდა ისეთი მავნებლობა, რამაც არა მარტო პრეზიდენტის იმიჯს მიაყენა გამანადგურებელი დარტყმა, არამედ მთელი ქართული სახელმწიფო შეარყია და შეაჯაჯღარა.

ხედავთ, რა „შეძლებია“ ერთ ხუციშვილს?!

სანამ ხუციშვილის ფიგურა ამოტივტივდებოდა, მანამდე კიდევ ერთ სკანდალი მოხდა პრეზიდენტის ადმინისტრაციაში — პრეზიდენტის პრესსამსახურის უფროსი ხატია მოისწრაფიშვილი ნოდარიკო მელაძესთან განსაკუთრებულ მეგობრობაში იქნა „მხილებული“...

კიდევ რამდენი ხუციშვილი და მოისწრაფიშვილია პრეზიდენტის ადმინისტრაციის კაბინეტებში თბილად და ტკბილად მოკალათებული, არავინ იცის.

თქვენ კიდევ რამდენი ასეთი ასეთი ხუციშვილი გყავთ, ძვირფასო „ქართულო ოცნებავ“, სახელმწიფო სტრუქტურებში, თქვენს პარტიულ სტრუქტურებში?

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იმის მაინც არ გეშინიათ, რომ ერთ სამწუხარო დღეს შეიძლება ანგი ხუციშვილებმა აგაფეთქონ?

ერთმა ხომ აგაფეთქათ უკვე. საჭირო მომენტში არც სხვები დაიხევენ უკან...

„ქართული ოცნება“ თავის დროზე „ნაცმოძრაობის“ მიერ „ქართულ ოცნებაში“ ჩანერგილი და „ქართული ოცნების“ მოულოდნელი გამარჯვების შემდეგ „პლენში ჩარჩენილების“, გზაში წამოწეულების, პორტირებულების, სადაქალო-საძმაკაცო წრეებიდან დასაქმებული „პროფესიონალი“ კადრებისგან თუ არ გაიწმინდა ერთხელაც იქნება და აუცილებლად გაეხვევა დიდ შარში.

როგორც ზემოთ ვთქვი, პატივცემულ ანგისთან საუბარმა თავის დროზე პირდაღებული დამტოვა.

ახლა თქვენ გააღეთ პირი პატივცემულო ანგი და თქვით, როგორ და რანაირად მოაწერინეთ ხელი პრეზიდენტს სამი მკვლელის და ერთი ძებნილის შეწყალებაზე?

**ვახტანგ ხარჩილავა**

# რთველი კახეთში, ანუ ერთი ნაბიჯი ვაზიდან ტყემლამდე

ჩვენი ტელევიზიები მაინც და მაინც თავებს არ იგიჟებენ, მაგრამ პერიოდულად მაინც გამოაცხადებენ ხოლმე, კახეთში რთველი წარმატებით მიმდინარეობს, უკვე მოიკრიფა ამდენი და ამდენი ათასი ტონა ყურძენიო... დიახ, „საფერავი“ ამდენიო, „რქაწითელი“ – იმდენიო, „მწვანე“ – ამდენიო. ნუ, ეხლა, ფასებზე ბევრს არაფერს ამბობენ, ვერ არის გლეხისთვის სახარბიელო და ამიტომ. თუ რატომ ვერ არის სახარბიელო და ვისთვის გახდა სარფიანი, ამაზე ცოტა ქვემოთ მოგახსენებთ.

პრინციპში, ვერ უარვყოფთ, წელს (როგორც შარშან) კახეთში რთველი მშვიდად მიმდინარეობს, ღვინის მარნები „რქაწითელს“ 70 თეთრად იბარებენ. თუ გლეხებს დავუჯერებთ, ზოგიერთ მარანში წონით მანიპულირებენ, ანუ იტყუებიან და საშუალოდ 60 თეთრი გამოდის. იქით ტრანსპორტირების საფასური, აქეთ მუშების (ვისაც დიდი სანათესაო არ ჰყავს) გადასახადი – დღეში თითო კაცზე 35 ლარი, დაუმატეთ პურის ჭამა, სამწვადე და საბოლოოდ გლეხს რჩება 50 თეთრი კილო ყურძენზე, 500 ლარი ერთ ტონაზე.

მევენახეთა დიდი ნაწილი ამბობს, რომ ვაზის გაშენება და მოვლა-მოყვანა აღარ ღირს. თუმცა საერთო ჯამში მაინც არ არის ისეთი განწყობა, ვინმემ ცული აიღოს ხელში. არადა, განსაკუთრებით წელს, თითქმის ყველაფერი გაძვირდა – ხილი, ბოსტნეული, მინდვრეული და ასე შემდეგ. აგერ, სიღნაღი-წნორის მისადგომებთან დიდი



რაოდენობით ველური ბროწეული ხარობს, თურმე მოყვარულები აგროვებენ, მიაქვთ და კილოს 60 თეთრად აბარებენ. ბაზარში ტყემლის ფასი ლარნახევრამდე ავიდა. არც ერთს უნდა მოვლა თუ წამლობა და არც მეორეს. ვაზი? ოოო... ამის ახსნას აღარ დავიწყებ, ყველამ ჩემზე უკეთესად იცით, როგორი მოსაფერებელი და შრომატევადი მცენარეა.

ბოლოს და ბოლოს, რა უნდა ქნას გლეხმა? როგორ მოიქცეს, როცა გადის წლები, ყველაფერი ძვირდება (საწვავი, შხამქიმიკატები), ხოლო ყურძენი, პირიქით, იაფდება? ზოგიერთის თქმით, ადრე, მიხოს დროს უკეთესი იყო, კილო ყურძენში 1 ლარს იძლეოდნენ. კი, ბატონო, იძლეოდნენ, რთველს ხან ვანო მერაბიშვილი ატარებდა, ხან კიდევ ირაკლი ოქრუაშვილი, ალბათ ვაქირელებს (სიღნაღის რაიონი) კარგად ახსოვთ, გზა რომ გადაკეტეს და იგივე ოქრუაშვილი რომ ჩაუხტათ ავტომატით და დედის გინებით. ვაქირელებს მასობრივად ჰქონდათ გაშენებული ე.წ. შავი ყურძნის ადგილობრივი ჯიში – „ვაქირულა“, ერთი ხანობა კაი ფასშიც იბარებდნენ, მერე მიხოს მეცნიერები გამობრძანდნენ ტელევიზორში და განაცხადეს, ეს ჯიში მომწამლავ ნივთიერებებს შეიცავს, ღვინო დასალევად საშიშიაო. აი, აქ გააპროტესტეს ვაქირელებმა და ოქრუაშვილმაც ეგრევე გამოიყენა ძალაუფლება – ავტომატის კაკანით დაშალა ცენტრალური გზის გადამკეტავნი. მას მერე ვაზის აღნიშნული ჯიში აღარავის უნახავს, ყველამ აკაფა და დაივიწყა. ალბათ, კახელებს ისიც ახსოვთ, რამდენს იძლეოდა მიხოს ხელისუფლება, თუკი გლეხობა ვაზს აჩეხავდა – 2 ათას ლარს ჰექტარზე. მიზეზი მარტივი გახლდათ, საქართველოში უნდა შემცირებულიყო ვაზის რაოდენობა, შესაბამისად, ყურძნის წარმოება და რასაკვირველია, თუ პროდუქტი გახდებოდა დეფიციტური, ფასიც გაიზრდებოდა.

2012 წლის შემდეგ სიტუაცია პირიქით დატრიალდა – დღეს კახეთში ფულიანი ბიძები ათასობით ჰექტარზე აშენებენ ვაზს, ძირითადად „საფერავს“ და „რქაწითელს“. გლეხები ამბობენ, რომ ყველამ, ვისაც კი საკუთარი მარანი გააჩნდა, ღვინოს აწარმოებდა და საზღვარგარეთ (ძირითადად რუსეთში) გაჰქონდა, ასევე საკუთარი ვენახები გააშენა. კი, ბატონო, მშვენიერია, ყვარელში, თელავში, სიღნაღსა და გურჯაანში უკვე გაჩნდა თანამედროვე დონეზე გადაჭიმული მასივები, მისი ნახვა ერთ რამედ ღირს, მაგრამ ამ დროს გლეხი რჩება პირში ჩალაგამოვლებული, ის ვერ უძლებს კონკურენციას და საბაზრო ეკონომიკის, ანუ ბურჟუაზიული კანონების თანახმად, კვდება. რატომ ეტანებიან ქვეყნის ბობოლები ვენახებს, რატომ აშენებენ ათასობით ჰექტარზე, თუკი წამგებიანია და ხშირად გაუსაღებელი ღვინო მარნებში რჩებათ? საქმეც ის არის, რომ ქართული ღვინის წარმოება წამგებიანი კი არა, ძალიან მომგებიანია, ერთი-ერთზე კი არა, ერთი-ათზე იძლევა მოგებას, ევროპასა და ამერიკაში 20 დოლარზე მეტადაც ფასობს. აღარაფერს ვამბობ რუსეთზე, სადაც კარგად იციან ჩვენი ღვინის გემო. წელს ისევ დაიწყეს მეღვინე ბობოლებმა წუწუნი, არიქა, რუსეთმა ღვინის გატანა ისევ შეაფერხა, შარშანდელიც ხელუხლებელი დაგვრჩა, ყურძენში 70 თეთრზე მეტს ვერ გადავიხდითო, დაადეს ფასი ამით



დაამთავრეს, გლეხი ისევ დატოვეს გაღიმებულ მდგომარეობაში. ამავე დროს სოფელ-სოფელ დაძრწიან „ნაციონალები“ და ჭორებს ყრიან, ყველა მარანი ბიძინა ივანიშვილისაა, ყველგან წილშია, რაც უფრო იაფად ჩაიგდებს ხელში ყურძენს, მით მეტ ხეირს ნახავს, ეგ წუწურაქი, ეგაო. თქვენ წარმოიდგინეთ, გაბეჩავებული გლეხობის ნაწილს სჯერა, რომ მაგალითად, წნორში მდებარე ღვინის ქარაქუცა მარანი ივანიშვილისაა და ძალიან დიდი მოგება რომ ნახოს, 70 თეთრზე მეტს არ იძლევა. ვეკითხები – საიდან იცით, ვინ გითხრათ, ასეთ სისულელეს როგორ იჯერებთ? პასუხი: რავი, ეგრე იძახიან, ყველა მარანი ბიძინასიაო. არა, გასაგებია



კახური გულუბრყვილობა, გაუთვითცნობიერებლობა, მაგრამ ცოტა ლოღიკასაც რომ მივხედოთ, რა იქნება? ნამდვილად უკეთესი იქნება!

თავად ბიძინა ივანიშვილმა არაერთხელ გასაგებად თქვა, საქართველოში არანაირი ბიზნესი არ გამაჩნიაო. სადმე ბიზნესებსა და წილებში რომ იყოს გაბმული, როგორ ფიქრობთ, აქამდე მტრებსა და ავ ენებს უთქმელ-ამოუქექავი დარჩებოდათ? ესენი კიდევ – ღვინის მარნებიო, ყურძენიო, წილებიო, „რქაწითელიო“, „საფერავიო“... ივანიშვილის ამბავი რომ ვიცი, თუ ოდესმე ვენახს გააშენებს, მსხმოიარობამდე მიიყვანს და მერე სახელმწიფოს აჩუქებს. ზედ ერთი კაი მარანსაც მიაყოლებს და თან იტყვის, მე არ გამომაჩინოთო. უქნარა „ნაციონალები“ კიდევ დაწანწალებენ, მოსახლეობაში ზიზღს თესავენ, ეგ კაცი გიიაფებთ ყურძენს და სამაგიეროდ გიძვირებთ ცხოვრებასო. ნათქვამია, ქათამმა წყალი დალია და ღმერთს შეხედაო... ნუ, ეხლა, ვიცი, რომ გლეხობას ზემოთ ასახედად არ სცალია, მაგრამ იმდენს მაინც უნდა ფიქრობდეს, ბინძურ ჭორებს არ აჰყვეს და აშკარა სისულელეები არ დაიჯეროს.

თუ კახეთში მევენახეობა დარჩებოდა 2011–2012 წლების დონეზე, ალბათ, შესაძლებელი იქნებოდა 1-ლარიანი ფასის შენარჩუნება, მაგრამ ათასობით ჰექტარზე ვაზის გაშენებამ უკურეაქცია გამოიწვია. მართალია, რაც დრო გადის, რიგითი მევენახე თავისივე ყურძენივით იჭყლიტება, მაგრამ ვინც აშენებს, ვისაც კონტაქტები აქვს უცხოეთის ქვეყნებში, ვისაც ღვინო-არაყი გააქვს ევროპის ბაზრებზე, ვერც იმათ გაამტყუნებ. აქ თავისთავად მუშაობს საბაზრო ეკონომიკა, ანუ კაპიტალისტური წესები – სუსტი იძირება, ძლიერი რჩება. გადავხედოთ თბილისს, ადვილი შესამჩნევია, როგორ ქრება ე.წ. ჯიხურების ტიპის მაღაზიები და როგორ იკავებს მათ ადგილს სუპერ-მარკეტები. ერთი მხრივ, ეს ძალიან კარგია, შესანიშნავია, მაგრამ რა ქნას წვრილმა მეწარმემ, რომელმაც ვერა და ვერ მოასწრო გაძლიერება საშუალო დონეზე მაინც? აი, აქ უნდა იყოს სახელმწიფო ყურადღებით, რათა საშუალო ფენა საერთოდ არ განადგურდეს. აი, სად იკვეთება სოფლის მეურნეობის სამინისტროს როლი და მნიშვნელობა. დღეს ჩვენი გლეხობის უმეტესობას, ფული რომც ჰქონდეს, არ გააჩნია შრომის ელემენტარული კულტურა. მე პირადად სიღნაღის რაიონში ვნახე ღვინის ჩამოსასხმელი მინი-ქარხნები, რომელთა მეპატრონეები, ინდმეწარმეები კმაყოფილნი არიან და არც არავის ეხვეწებიან, გინდათ თუ არა, ჩვენი ყურძენი ათ შაურად ჩაიბარეთო. თქვენ წარმოიდგინეთ, ასეთ მეწარმეებს თავიანთი ნახელავი უცხოეთში კი არ გააქვთ (შეიძლება მალე ესეც მოახერხონ), ისინი ამარაგებენ ქართულ რესტორნებსა თუ სასტუმროებს. ესეც კარგია, შესანიშნავია, მაგრამ ცოტანი არიან, აქ საკითხი დგას ასე: რა ვუყოთ შაქრო პაპას და მომავალ „შაქრო პაპებს“, რომლებიც ისევ ძველებური მეთოდებით ებრძვიან ამ ცხოვრებას? „შაქრო პაპობა“ არ ნიშნავს იმას, რომ კაცი მაინც და მაინც 70 წელიწადს უნდა იყოს გადაცილებული და 80-ს უკაკუნებდეს, მექანიზაციისა თუ მაღალი ტექნოლოგიების ეპოქაში 25 წლისანიც დადიან ვენახებში ვირის „ტაჩკებით“, რომლებიც თოხის ქნევაში ბერდებიან ნაადრევად. მე რამდენიმე თვის წინაც მივმართე ბიძინა ივანიშვილს, მოდით, მაღაზიებში დავყაროთ იაფი მექანიზაცია და შხამ-ქიმიკატები, ეს უკანასკნელი კიდევ გავაკონტროლოთ, რადგან ხშირად ფალსიფიცირებულია-მეთქი. იმედია, არ დატოვებს ამ სფეროს უყურადღებოდ.

მოკლედ, პრობლემები ბევრია... დღეს ჩვენ გვაქვს ორი გზა, გლეხობას ან უნდა შევთავაზოთ ბენდუქიძისეული თეორია და პრაქტიკა – შევამციროთ ვენახების რაოდენობა, რაც უთუოდ გამოიწვევს ფასის მატებას, ან კიდევ განვანათლოთ, აღვჭურვოთ თანამედროვე ტექნიკით და ხელი შევუწყოთ ყველანაირად, მოვუძებნოთ გასაღების სარფიანი ბაზარი. პირველი გზა იოლია, აკაფე, აჩეხე, მაგის დედაც ვატირე, ხვალეზე ხვალემ იდარდოს, მეორე გზა რთულია, მაგრამ სასარგებლო და სასიკეთო. თუ მეორეს არ დავადგებით, პირველამდე თავისთავად მივალთ, ერთ დღესაც გლეხი თვითონ აიღებს ცულს ხელში და ყურძნის ნაცვლად ტყემალს გააშენებს. თუმცა მერე ტყემალი იქნება ბევრი და მისი ფასი იქნება 70 თეთრი. მიუხედავად ამისა, ჩვენ არ გვაქვს უფლება, პარალელი გავავლოთ ტყემალსა და ვაზს შორის. სანამ სადღეგრძელოების ხასიათზე დავდგები, სჯობს, დავამთავრო და გამგებმა კიდევ ყველაფერი გაიგოს.

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# გადასცემს თუ არა ზელენსკი დონალდ ტრამპს კომპრომატებს ჯოზეფ ბაიდენის შვილზე?

საპრეზიდენტო არჩევნები ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომელიც გაისად გაიმართება, იოლად ნამდვილად არ ჩაივლის, რასაც უკვე ვარაუდობენ მსოფლიოში წამყვანი პოლიტოლოგები. ასეთი პესიმისტური პროგნოზის საფუძველს მათ აშშ-ი დღეს არსებული პოლიტიკური ვითარება აძლევთ. დონალდ ტრამპს გაპრეზიდენტებისთანავე საგარეო საკითხების დარეგულირების გარდა, ქვეყნის შიგნით მოწინააღმდეგეთა შეტევების მოგერიება უხდება. წინასაარჩევნო პერიოდში უმოქმედოდ არც დონალდ ტრამპი იქნება. თუმცა, დემოკრატებისგან განსხვავებით აშშ-ს 45-ე, პრეზიდენტი რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით აპირებს მეორე ვადით არჩევისთვის ბრძოლის.



ახალი, მწვავე სკანდალი აგორდა გასულ კვირას აშშ-ი. ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნებში ერთ-ერთი მთავარი კანდიდატია, დონალდ ტრამპი უფლებამოსილების გადაჭარბებაში დაადანაშაულა. ბაიდენის განცხადებით, დონალდ ტრამპმა ივლისის ბოლოს უკრაინის ახალ პრეზიდენტ ვლადიმირ ზელენსკისთან სატელეფონო საუბრისას 8-ჯერ მოსთხოვა ბაიდენის შვილზე კომპრომატები „...კითხეთ, რატომ აშანტაჟებს და აშინებს უცხო, სუვერენული ქვეყნის ლიდერს. მას სურს შელახოს ჩემი რეპუტაცია და ასეთი მეთოდით ჩამომიცილოს გზიდან“ — უთხრა ბაიდენმა ჟურნალისტებს.

თავად დონალდ ტრამპი უარყოფს ბრალდებას. მისი განცხადებით არანაირი კანონი არ დაარღვია. ამის გარდა ფიქრობს გამოაქვეყნოს 25 ივლისის სატელეფონო საუბრის სტენოგრაფიული ჩანაწერები. „... კუდიანებზე ნადირობა დემოკრატების სტილია, მაგრამ ტრადიციულად ჩაუვარდებათ ხოლმე. ამჯერადაც ახალი შეტევა წამოიწყეს თუმცა არაფერი გამოუვათ“ — თავის მხრივ განაცხადა ტრამპმა. დემოკრატმა კონგრესმენებმა მიიღეს ბაიდენის მიმართვა და აპირებენ კონგრესში მოკვლევის დაწყებას, ამასთან, ტრადიციულად უკვე ალაპარაკდნენ ტრამპის იმპიჩმენტზე.

ნეიტრალური პოლიტოლოგები აღნიშნავენ, რომ თანამდებობაზე ყოფნისას ბაიდენი გაცილებით მკვეთრად ერეოდა უკრაინის შინაურ საქმეებში. გაიხსენეს პეტრო პოროშენკოს პრეზიდენტობის დროს გავრცელდებული კადრი, სადაც უკრაინის მთავრობის სხდომას კიევში ბაიდნი ესწრებოდა, რომელიც პრეზიდენტის სავარძელში იჯდა და ფაქტობრივად იგი უძღვებოდა თათბირს. ამის გარდა ბაიდენის შვილი მუშაობდა უკრაინის გაზმომპოვებელ კორპორაციაში, რომელსაც თვეში 50 ათასი დოლარი ჰქონდა ხელფასი. ექსპერტებმა გაიხსენეს ასევე ბაიდენის მუქარა პოროშენკოსადმი — თუ არ გაანთავისუფლებდა იმდროინდელ მთავარ პროკურორს, ფინანსურ დახმარებას შეუწყვეტდნენ. მისი მოთხოვნა რამდენიმე საათში დააკმაყოფილეს. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ სკანდალი ამომრჩევლის მიპყრობის მიზნით



არის ხელოვნურად აგორებული. საინტერესოა, როგორი გახდა ორი პრეზიდენტის საუბარი ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი, რომელიც საიდუმლო უნდა ყოფილიყო. ზელენსკის ჯერ არანაირი კომენტარი არ გაუკეთებია. სავარაუდოდ დუმილს ამ დღეებში, დონალდ ტრამპთან პირისპირ შეხვედრის შემდეგ დაარღვევს, საუბარი ნიუ-იორკში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მსვლელობისას გაიმართება. სწორედ ეს დაგეგმილი შეხვედრა აძლიერებს ინტრიგას, რომელ მხარეს დაიჭერს ზელენსკი ტრამპის თუ ბაიდენის.

ვაკანტური თანამდებობა აშშ-ს პრეზიდენტის თანაშემწის უსაფრთხოების საკითხებში გასულ კვირას რობერტ ორბრაიენმა დაიკავა. თავდაპირველად ჟურნალისტებს ეგონათ დონალდ ტრამპმა თანამდებობაზე დანიშნა ახალბედა პირი, რომელიც პოლიტიკაში არ ყოფილა. როგორც მოგვიანებით გაირკვა ორბრაიენი იმ პოლიტიკოსთაგანია, რომლებიც კულუარებში საქმიანობენ, მათი მოქმედება ნაკლებად ჩანს და ამიტომაც არ იცნობს ფართო საზოგადოება. ორბრაიენის საქმიანობაზე მწირია ინფორმაცია. ცნობილია, რომ რამდენიმე ქვეყანაში არჩევნებზე დამკვირვებლად იმყოფებოდა.



სიტუაცია ახლო აღმოსავლეთში და არაბეთის ნახევარკუნძულზე კვლავ დაძაბული რჩება. საუდის არაბეთის უდიდესი ნავთობგადამამუშავებელ ქარხნებზე შეტევის შემდეგ აშშ-ის სახელმწიფო მდივანი სასწრაფოდ ჩავიდა ქვეყანაში ვითარების ადგილზე გასაცნობად. არაბეთში ჩასვლისთანავე პომპეომ მომხდარ ინციდენტში ირანი დაადანაშაულა. თავდაპირველად არაბები მას დაეთანხმნენ, გვაქვს დამამტკიცებელი ფაქტებიო, განაცხადეს. ჟურნალისტებისთვის მოაწყეს კიდეც ერთგვარი გამოფენა, სადაც უპილოტო საფრენი აპარატების და ფრთოსანი რაკეტების ნამტვრევები წარმოადგინეს. არაბების მტკიცებით, ირანული ნაწარმით განხორციელდა მათ ობიექტებზე შეტევა.

ირანელები შეტევაში მონაწილეობას უარყოფენ. შვეიცარიის საელჩოს მეშვეობით აშშ-ს ნოტაც გაუგზავნეს. მიუხედავად ამისა, აშშ-მა სრული სამხედრო მზადყოფნა გამოაცხადა, რის შემდეგაც კიდევ უფრო დაიძაბა რეგიონში



ვითარება. ირინის თავდაცის სამინისტროს განცხადებით, სამხედრო ძალით მათ ვერავინ დაამარცხებს. მათივე თქმით, ჩამოაგდებენ ნებისმიერ საფრენ აპარატს, რომელიც დაარღვევს მათ საზღვრებს. ამასობაში ხუსიტებმა გაასაჯაროეს ჰაერიდან გადაღებული ფოტოები, სადაც ჩანს ობიექტები შეტევამდე და შეტევის შემდეგ. საუდის არაბეთის ხელისუფლებამაც შეარბილა ტონი —„დაგელოდებით მოკვლევის შედეგებს ვინ განახორციელა შეტევა და შემდეგ მივიღებთ გადაწყვეტილებას“ — განაცხადა საგარეო საქმეთა სამინისტროს წარომადგენელმა.

საბედნიეროდ, ნავთობგადამამუშავებელ ქარხნებზე შეტევას ადამიანური მსხვერპლი არ მოყოლია. დღემდე უცნობია, როგორ დაძლიეს საფრენმა აპარატებმა ჰაერსაწინაალმდეგო სისტემა „პეტრიოტი“. სახედრო ექსპერტების განცხადებით, სპარსეთის ყურეში ირანის მხარეს საუდის არაბეთში 80-მდე დანადგარია განთავსებული, ამიტომ იქიდან შეტევა თითქმის გამორიცხულია. თუმცა საყურადღებოა მაიკლ პომპეოს აზრი. მისი თქმით, დანადაგრი „პეტრიოტი“ თურმე სხვა ქვეყნებშიც ხარვეზებით მუშაობს. „... მთავარი რომელიმე დანადგარის ფასი კი არ არის, არამედ მისი ეფექტურობაა“ — ამბობს ისრაელელი სამხედრო ექსპერტი იაკობ კედმი.

ვერსიას, საუდის არაბეთზე შეტევაში ირანის მონაწილეობას დონალდ ტრამპი დაეთანხმა, სანქციების კიდევ უფრო გამკაცრებითაც დაემუქრა. ექსპერტების ნაწილი შიშობდა, რომ სპარსეთის ყურეში საომარი მოქმედება დაიწყებოდა. აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა მარკ ესპერმა რეგიონში საჯარისო კონტიგენტის გაზრდა დაანონსდა. როგორც გამოჩნდა, ტრამპი ომის დაწყებაზე არც კი ფიქრობდა. „... სამხედრო ოპერაციის გარდა, დასჯის სხვა საშუალებაც არსებობს, თუნდაც ეკონომიკური სანქციები, რასაც გავამკაცრებთ და დავუწესებთ... თუ ირანზე შეტევას არ ვახორციელებთ ჩვენს სისუსტეს არ ნიშნავს, ვნახოთ რა იქნება მომავალში. მოთმინების უნარი გვაქვს“ — განაცხადა დონალდ ტრამპმა. თუმცა რეგიონში უკვე იმყოფებიან აშშ-ს სამხედრო გემები, მათ შორის ავიამზიდი. გამორიცხული არ არის გაიზარდოს ცოცხალი ძალებიც.

გასულ კვირას თურქეთის დედაქალაქ ანკარაში გაიმართა ირანის, თურქეთის და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრა, რომლებმაც სირიის სამომავლო სახელმწიფო მოწყოაზე იმსჯელეს. განსხვავებული შეხედულებების მიუხედავად მიაღწიეს შეთანხმებას საკონსტიტუციო კომიტეტის შემადგენლობის სიაზე. შემაჯამებელ ბრიფინგზე რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმირ პუტინს კითხეს დაეხმარება თუ არა საუდის არაბეთს „... მიიღონ ბრძნული გადაწყვეტილება, როგორც ირანმა, თურქეთმა მათაც ჩვენგან შეიძინონ საჰაერო დაცვის დანადგარები და უკეთ იქნებიან დაცულები“ — უპასუხა პუტინმა.

ვენესუელაში ახალი სკანდალი აგორდა.ე.წ. ოპოზიციის ლიდერი ხუან გუაიდო, რომელიც თავს პრეზიდენტადაც მიიჩნევს, კოლუმბიელ ნარკობარონებთან კავშირში დაადანაშაულეს. პრესაში გავრცელდა ფოტოები, სადაც გუაიდო სამ პირთან, სხვადასხვა ადგილზეა გადაღებული. სამივე მათგანი ინტერპოლის წითელი ცირკულიარით იძებნება. ერთ-ერთი ხელმძღვანელობს დაჯგუფებას, რომელიც ადამიანების გატაცებით და მკვლელობებით არის დაკავებული. საინტერესოა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის კომენტარი, რომელიც გავრცელებული ინფორმაციის შემდეგ გააკეთა: „... ჩვენ სულაც არ გვაღელვებს გუაიდოს ნარკობარონებთან კავშირი“. (?!).

როგორც ავღნიშნეთ, ნიუ-იორკში გაეროს გენასამბლეა მიმდინარეობს. რა სიახლეს მოუტანს სამყაროს მსოფლიოს პოლიტიკოსების თაყრილობა, კვირის ბოლოს გამოჩნდება. თუმცა, პოლიტოლოგები რაიმე, ძირეულ ცვლილებებს ნაკლებად ვარაუდობენ. არ გამორიცხავენ ასევე დონალდ ტრამპის და ირანის პრეზიდენტის ჰასან როუჰანის პირისპირ შეხვედრას. თუ მართლაც შედგება დიალოგი, ადვილი შესაძლებელია რეგიონში დაძაბულობის განმუხტვა. თუმცა ვნახოთ, ყველაფერს მომავალი გვიჩვენებს.

**გია ბურდული**
551 71 27 07

ვახტანგ ხარჩილავა:

პოლიტპარადოქსები

# ყოფნა-არყოფნა, ანუ შესვლა-არშესვლა – საკითხავი, აი, ეს არის!

შესვლა-არშესვლის (ნატოში შესვლა-არშესვლას ვგულისხმობ) საკითხი ყოფნა-არყოფნის საკითხად გვექცა.

კარგა ხანია რაღაცნაირ ტრაგიკომიკურ სიტუაციაში ვართ – შესვლა გვინდა ნატოში, თან ძალიან გვინდა, ისინიც გვეუბნებიან: მობრძანდით, კარები ღიაა, მაგრამ ამ ღია კარებთან რომ მივალთ და, აჰა, საცაა უნდა შევიდეთ, უცებ ირკვევა, რომ შიგ შესვლა არ შეიძლება.

ჰოდა, წლებია უკვე, ვდგავართ და ვდგავართ ამ ღია კარებთან, მაგრამ შიგ ვერ შევდივართ – არ გვიშვებენ!!!

თუ შიგ შესვლა არ შეიძლება, მაშინ რატომ არის კარები ღია, დახურეთ ბარემ და დაისვენებთ თქვენც, დავისვენებთ ჩვენც და რომელიმე სხვა კარს მივადგებით.



უკნიდან „ნაცები“, „ევრონაცები“ და სხვა ე.წ. პროდასავლური პარტიები გვაწვებიან და გვაწვებიან.

– რას გვაწვებით, რომ გვაწვებით? არ გვიშვებენ შიგ, ვერ გეიგეთ თქვენ? – ისმის ღია კართან მიჩიხულების სასოწარკვეთილი ხავილი, მაგრამ ესენი მაინც აწვებიან და აწვებიან.

– ჰე, ბიჭო, ცხრა წელი იდექით ამ ღია კარებთან და არ შეგიშვეს და ახლა ჩვენთან რა გინდათ? ერთი რვა წელი ჩვენც რომ ვიდგეთ და თქვენსავით ისე ტყუილა ვიძახოთ, შევდივართ, შევდივართო, ეს უნდა დაგვაყვედროთ? – მიჩიხულები ნამუსზე ცდილობენ მიმწოლების შეგდებას, მაგრამ არაფერი გამოდის – მიმწოლებს ნამუსი არ აქვთ და რაც არა აქვთ, იმაზე როგორ უნდა შეაგდო?

9+8=17-ს, იქაც 13-ი ჯამში 30 წელი გამოდის.

30 წელია შევდივართ ამ ნატოში და ჯერჯერობით ვერ შევედით.

30 წელი არ არის ცოტა – თუ ნორმალური ხარ, 30 წლის განმავლობაში კი უნდა მიხვდე, სად გიშვებენ და სად – არა.

კაცმა რომ თქვას, სულ სიდამონოვიჩის ბრალია ყველაფერი – იმან მოგვატყუა, იმან შეგვაცდინა და გვაცდუნა: მიდით, მიაწექით ამ ოკუპანტ რუსებს, ნუ გეშინიათ, ხვალ თუ არა ზეგ უსიკვდილოდ აქ ნატოს ჯარები შემოვლენო.

სიდამონივიჩს მაშინ ისეთი ავტორიტეტი ჰქონდა, აბა, როგორ არ დავუჯერებდით?

სიდამონოვიჩთან ერთად სხვებიც, მთლად დიდი ავტორიტეტები, იგივეში გვარწმუნებდნენ.

მას შემდეგ ველოდებით აქ ნატოს ჯარების შემოსვლას, მაგრამ ამაოდ.

ნატოს ჯარები არ შემოსულან, მაგრამ რუსები კი შემოვიდნენ.

ჩვენ მაინც ნატო ნატოს ვიძახით და რაც უფრო ხმამაღლა ვიძახით, მით უფრო ღრმად და ღრმად შემოდიან რუსები – თითქოს რაღაც მაგიური კავშირი არსებობს ნატოს ძახილსა და რუსების შემოსვლაში.



სანამ ეს თავხედი რუსები შემოსვლას დაიწყებდნენ, მანამდე ბატონი „პუპუზა“ გვირჩევდა – ომი გამოვუცხადოთ რუსეთსო. თუმცა რაღა გამოცხადება უნდოდა – გამოცხადებული გვქონდა უკვე და სულ ოკუპანტებს ვეძახდით, მიუხედავად იმისა, რომ არც აფხაზეთი ჰქონდათ ჯერ ოკუპირებულ, და არც სამაჩაბლო.

– გაეთრიეთ, ოკუპანტებო, საქართველოდან! – დასჭექდა ერთი და დასცხებდნენ მომიტინგეები ტაშს.

– ოკუპანტების ფეხქვეშ მიწა უნდა იწვოდეს! – დაიგრუხუნებდა მეორე და ისევ მხურვალე ტაში.

– ვინ არის ბუში და მიტერანი? – საბჭოთა კავშირი ჩვენ დავშალეთ! აღმოსავლეთ ევროპა ჩვენ გავათავისუფლეთ! – ქუხდნენ ეგმ-ს ლიდერები და აღმოსავლეთ ევროპის „გათავისუფლების“ შემდეგ ჩრდილო კავკასიის გასათავისუფლებლად მიიჩქაროდნენ, იმაზე კი არავინ ფიქრობდა, ეს ჩრდილო კავკასია რუსეთის ფედერაციაში რომ შედიოდა და იქ პოლიტიკური მისიებით სირბილი რუსეთის შინაურ საქმეებში ჩარევად რომ შეფასდებოდა.

თავისუფლება გვინდოდა ჩვენ, თავისუფლება გვწყუროდა და ოდნავ გამოღებული ფანჯრიდან თავისუფლების სიომ რომ დაჰბერა, უცებ გავბრუვდით, უცებ ჩავვარდით ექსტაზში და სიფრთხილის გრძნობა დავკარგეთ, ხოლო როცა გამოვფხიზლდით და გონს მოვეგეთ, უკვე გვიანი იყო.

ახლა მითუმეტეს, ძალიან გვიანია, ახლა საქართველო ქმარშვილიანია ანუ არარეგისტრირებულ ქორწინებაშია აქეთ ნატოსთან, იქით ევროკავშირთან, მესამე კიდევ კარზე გვიკაკუნებს — მეც შემომიშვითო. რა ამბავია, რაღა საქართველოსთან მოგინდათ მაინცა და მაინც პოლიტიკური „გრუპენსექსი“ თქვე წუნკლებო.

სულ სხვას რომ ვაბრალებთ ჩვენ უიღბლობას და უბედურებას, არ შეიძლება ხანდახან საკუთარ თავსაც შევხედოთ კრიტიკული თვალით და ვაღიაროთ: – რაც გვჭირს, ყველაფერი საკუთარი თავისგან გვჭირს.

ერი რომელიც სიდამონოვიჩს აირჩევს წინამძღოლად და ბატონი „პუპუზას“ ჭკუაზე გაივლის, როგორ შეიძლება წარმატებული იყოს?

ერი, რომელიც ჭკვიანსა და შლეგს ერთმანეთისგან ვერ არჩევს, ერი, რომელიც ჭკვიანსა და შლეგს შორის არჩევანს აშლეგის სასარგებლოდ აკეთებს, ცხადია, სულ განსაცდელში იქნება.

პარლამენტის წინ ახალი თაობის სიდამონოვიჩები და „პუპუზები“ დგანან და ზუსტად იგივე სიტყვებს იმეორებენ, რასაც მათი სულიერი მამები 30 წლის წინათ ამბობდნენ.

ახლა ესენი შერეკავენ ქვეყანას ახალ ჩიხში, ჩვენ კი ყოველივე ამას შორიდან უნდა ვუყუროთ?

სიდამონივიჩების და „პუპუზების“ დრო არ დამთავრდა საქართველოში.

ადრე სტვენით მაინც არ უსტვენდნენ, ახლა უსტვენენ და სულ სტვენა-სტვენით აპირებენ ამ ქვეყნის უფსკრულში გადაჩეხვას.

პარლამენტის მიმდებარე ტერიტორია შიზოფრენიის ზონად იქცა…

ჩვენ რას ვაკეთებთ ამ დროს, ჩვენ, ვინც 30 წლის წინათაც ვიცოდით, რას რა მოჰყვებოდა და ახლაც ზუსტად ვიცით, რით შეიძლება ეს ყველაფერი დამთავრდეს?

რას ვაკეთებთ და არაფერს, უფრო სწორად, ვერაფერსაც ვერ ვაკეთებთ – ჩვენ თამაშგარე მდგომარეობაში ვართ, ჩვენ მუდმივ აფსაიდში ვართ.





# რა ხდება მაშინ, როცა სულელი ბევრ ფულს შოულობს?

## მამუკა, ჭიტა, „ჭუტა ტელევიზიაც“ შენია, ძმაო?!

მდააა... 20 სექტემბერს მამუკა ხაზარაძემ, ოფიციალურმა მევახშემ პარლამენტთან შეკრებილი პუბლიკის წინაშე ბენეფისი მოიწყო. პუბლიკა შედგებოდა საქართველოს მოსახლეობის 000,1 პროცენტისგანაც კი არა, ისინი ძირითადად იყვნენ იმავე ხაზარაძის დაფინანსებული „სირცხვილია“-ს აქტივისტები – ფაქტობრივად, „ნაცები“. რაც მართალია, მართალია, ვერ უარვყოფ, ბატონ მამუკას კაი სადღეგრძელოები სცოდნია. ოღონდ ის ვერ გაუგია, რომ ახლა 21-ე საუკუნეა და პოლიტიკაში „დაიწვა ჯიგარი„ აღარ ჭრის.

რა გითხრათ, ახალი რა მოგახსენოთ? იყო ერთი „კომსომოლა“, რომელმაც იმდენი გაბედა „კომსომოლობის“ პერიოდში, რომ დისიდენტებსაც დაუწყო დევნა და ერთხელ მერაბ კოსტავასაც კი



მოუქნია მუშტი. ეგ არაფერი, მერე უფრო მეტი გაბედა, შევარდნაძის პერიოდში მიდგა-მოდგა, 500 დოლარი ისესხა, ბანკი დააარსა და თქვენ წარმოიდგინეთ, გაუმართლა, ცოტა ხანში მილიონერი გახდა. მერე კიდევ წაიჩალიჩა პატიოსნად, ალალად, „ბორჯომი“ ჩაიგდო ხელში და კიდევ უფრო გამდიდრდა. ყვლიფა და ყვლიფა საკუთარი ქვეყნის მოსახლეობა საბანკო პროცენტებით, ზოგს მოძრავი ქონება გაუყიდა, ზოგს კიდევ უძრავი. მიშა სააკაშვილის მმართველობის დროს „მოკეტილში“ იჯდა, ვერაფერს ხედავდა, ვერაფერს ამჩნევდა... არ ვიცი, შეიძლება ხედავდა და შეიძლება ამჩნევდა კიდეც, მაგრამ ხმას არ იღებდა. პრინციპში, ამოიღებდა და კაი ჩიტსაც დაიჭერდა. ამასობაში მიშა გადაშენდა. ცოტა ხანს უყურა, ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრაც მოახერხა და ამ მომენტში ისე გაბრიყვდა (ადრეც ბრიყვი ყოფილა, მაგრამ არ იმჩნევდა), მასთან თავის გატოლება მოიმდომა, ანუ გაბედა. რატომაც არაო, ფული მაკლია, სიგრძე-სიგანე თუ სიმაღლეო? არადა, რაღაც რომ აკლდა, ეს ვეღარ გათვალა. წამოვიდა იქიდან ღიღინით, ჩაეხუტა პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილს – მოდი, უფრო დიდი ფული ვიშოვოთო, ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი ავაშენოთ, ოღონდ ყველა ხარჯი და რისკი სახელმწიფოს ავკიდოთო. კაიო, ძაან მაგარი იდეააო, მიუგო პრემიერ-მინისტრმა, ჩვენი რა მიდიხარ? თუმცა ერთი-ორჯერ აშუშუში ჩასვლა კი

მოგვიწევს, მაგ საქმეს ჩვენი სტრატეგიული პარტნიორების გარეშე მაინც ვერ გავაკეთებთო. როდესაც პირველად კვირიკაშვილს დატუნტულებული ხაზარაძე დაინახეს, ხალხმა პირი დააღო, მაგას იქ რაღა უნდაო? გავიდა ცოტა დრო და მერე მივხვდით, რაც უნდოდა. მოკლედ, დამსხდარან ვაშინგტონში სტრატეგიულ პარტნიორებთან, დაუწყიათ ამათ, ესაო, ისაო, პორტიო, რამეო. იმათ უთქვამთ, ერთი ვერ გავიგეთ, ყველა რისკი თუ სახელმწიფოს უნდა წამოჰკიდოთ, მაშინ კერძო პირები რა შუაში ხართ, თვითონ სახელმწიფო ვერ ააშენებსო? აქ კვირიკაშვილს „დაუტორმუზებია“, ეგ მართალია, თან ამ საკითხზე ბიძინა ივანიშვილსაც უნდა დაველაპარაკოთ, ამას წინებზე თქვა, თუ ფული არ გეყოფათ, მე მოგცემთო. აქ ხაზარაძეს „გაუჭედავს“, ივანიშვილი ვინ არი, მაგას ვინ ეკითხება, ან მაგისი ფული ვის სჭირდებაო? არაო, ყველა რისკები და ხიფათები ბიუჯეტმა უნდა დააზღვიოსო. ააა, ესე იგი, ბიძინას ვინ ეკითხება და მისი ფული ვის სჭირდებაო? როგორ ფუქრობთ, ასეთი სიბრიყვე დაიმალებოდა? ამას მოჰყვა ბრალდება, ჯერ შენ იმაზე აგე პასუხი, ადრე ფულს რომ ათეთრებდი მეთუთუნე ავთო წერეთელთან ერთადო. ჰმ... რას ამბობთ, ეგ ხომ ადრე იყოვო. რა მნიშვნელობა აქვს, როდის იყო, დანაშაული ხომ დანაშაულიაო. ამან უთხრა, იმათ უთხრეს, „თიბისიდან“ გამოაბუნძულეს, მერე ანაკლიის პორტის საქმეშიც შეუყენეს წყალი და ასე დაიბადა ჩვენს თვალწინ დიდი ეროვნული ლიდერი. მე რა, მაგას თვითონ ამბობს... აბა, დაუკვირდით, ჯერ ბიძინა ივანიშვილს გაუტოლა თავი, მერე ილია ჭავჭავაძეს, ბოლოს კი იესო ქრისტესაც შეჰბედა – დაჯდა წერად ხაზარაძე და შეთხზა 12-პუნქტიანი გეგმა, ანუ შეადგინა სადღეგრძელო, რომელიც დაასათაურა ასე – „ჩვენი მოძრაობის 12 მიზანი და ღირებულება. თითოეული სადღეგრძელო გამოიყურება ასე: ერთხელ და სამუდამოდ საქართველომ უნდა დაიბრუნოს საკუთარი ფუნქცია. ანაკლია არის ბოლო კარიბჭე აზიასა და ევროპას შორის და სწორედ აქ აქედან უნდა განმტკიცდეს ჩვენი ვექტორი დასავლეთისკენ. ჩვენ ანაკლიიდან უნდა ვუთხრათ ჩვენს სამშობლოს რომ ჩვენ გავიმარჯვებთ. ორ ზღვას შუა ძველთაძველად საომარი იყო

ლელო... ჩვენ ვაფუძნებთ მოძრაობას, რომელსაც ექნება გუნდურობის, მიზნების მიღწევის, სიყვარულის, ერთობის, საქართველოს გამარჯვებაზე ორიენტირებული მიზანი და ამ მოძრაობას ერქმევა „ლელო“.

ტაში, ამხანაგებო, გიხაროდენ, ამდენი ტვირთი თავის დროზე ილია ჭავჭავაძესაც კი არ აუღია და თქვენ წარმოიდგინეთ, როდესაც იესო ქრისტე თავის 12 მოციქულს ასახელებდა, ასე არც ერთი არ შეუქია. პირიქით, ერთზე თქვა, მიღალატებსო. არა, ამან თავისი 12 მოწაფე ისე წარმოგვიდგინა, მათში ეჭვიც არავის უნდა შეეპაროს, ისინი არიან სამშობლოს მოყვარულნი, მამულის გადამრჩენნი, უანგარონი, უტყუარნი და უშიშარნი, ვითარცა უხორცონი. არადა, ჩემო ძვირფასო მკითხველებო, აგერაა სია და არა მგონია, მათმა გვარ-სახელებმა რამე საინტერესო გითხრან.



აქციაზე გამოსულ მამუკა ხაზარაძეს, რომელსაც ტელეკომპანია „ჭუტა პირველი“ უკვე ეროვნულ გმირად წარმოგვისახავს, აშკარად ეტყობა ანაქრონიზმი არა მხოლოდ სიტყვათა წყობაში, ლექსიკაში, ქცევის მანერებში, არამედ იდეებშიც. ის ჩარჩენილია 1990-იან წლებში, როცა გულის ფიცარზე მჯიღის ბრაგუნი მოსახლეობას აღაფრთოვანებდა და თითოეულ ჩვენგანს ჟრუანტელს გვგვრიდა. დამთავრდა ის დრო, წავიდა, აღარ არი, ახლა ადამიანებს სჭირდებათ კონკრეტული საქმეები, დღეს ადამიანებს უნდათ გზები, წყალი, დენი, ინტერნეტი, გაზი, სოციალური დაცვა, ბაზარი, ტექნიკა... მოწესრიგებული რეგიონები, აღორძინებული სოფლის მეურნეობა, აშენებული აბასთუმანი, ქუთაისის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, სასტუმროები, მაღაზიები და საერთოდ, განვითარებული ინფრასტრუქტურა, სადაც დიდ საქმეებს აკეთებს ბიძინა ივანიშვილი. სხვათა შორის, ამას წინებზე ერთმა მკითხველმა დამირეკა და მისაყვედურასავით, ივანიშვილს ცოტა ზედმეტად ხომ არ აქებო? რას ჰქვია, ვაქებ და თანაც ზედმეტად? პირიქით, ზოგჯერ ისეთ რაღაცას აკეთებს (ბოლო არის ქუთაისის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, მანამდე აღმაშენებელი აბასთუმნის რეაბილიტაციის იდეამ), სიტყვები არ მყოფნის ხოლმე, რომ შესაფერისად შევაქო. კი, ბატონო, ჩემო მკითხველო, გააკეთოს მამუკა ხაზარაძემ თუნდაც ერთი ისეთი რამ, რაც ბიძინა ივანიშვილმა უკვე გააკეთა და გპირდებით, ქებით ძირს გავაგდებინებ, მაგრამ საქმეც ის არის, რომ არც გაუკეთებია, არც აკეთებს და არც მომავალში გააკეთებს, რადგან ის (თავისი ბუნებით) გახლავთ ერთი რიგითი მევახშე, რომელიც უზომოდ გამდიდრდა და ახლა, როცა პასუხი მოსთხოვეს, პოლიტიკურ თავშესაფარს ეძებს პარლამენტში.

მიუხედავად ჩემი უარყოფითი დამოკიდებულებისა, მამუკა ხაზარაძე უფრო ჭკვიანი მეგონა, მაგრამ მისმა საქციელმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ ბევრ ფულს ხშირად სულელებიც შოულობენ. იცით, რა არის მისი პირველი და უდიდესი სისულელე? საარჩევნო კამპანიას რომ აგებს ბიძინა ივანიშვილის ლანძღვაზე. აი, აქედანაც ჩანს, რომ ეს ადამიანი საღად ვერ აფასებს თავის გონებრივ და ფიზიკურ შესაძლებლობებს – თუ „ტვ პირველი„ წარმოაჩენს კამერის ეფექტით შექმნილი მრავალათასიანი მიტინგის ფონზე, ჰგონია, სრულიად საქართველო მის მხარესაა. თუ ამ ტელევიზიის ერთ-ერთი უცნაური წამყვანი ჟიჟილაშვილი აღფრთოვანებულია მისით და ასევე უცნაური ჟესტიკულაციით უსხამს უცნაურ შეკითხვებს, ჰგონია, ძაან მაგარ პასუხებს იძლევა და სრულიად საქართველო სულგანაბული უსმენს. არადა, ამდენი სისულელე თვით ზაზა ოქუაშვილსაც კი არ უთქვამს:

„ეს ჩემი პირველი გამოსვლაა და თქვენ სამსახურში მიგულეთ, ამ ბიჭების სამსახურში მიგულეთ, იქ, სადაც გაჭირვებული კაცი იქნება, იქ მიგულეთ. არ აჰყვეთ პროვოკაციებს, არ აჰყვეთ ბოტებს, აგერ რომ იჯდნენ და ახლა საბურთალოზე ზიან, ბოტებს, რომლებიც ჩვენი შვილების ტვინებს რეცხავენ რუსული კაპიტალით. არ აჰყვეთ ბიძინა ივანიშვილის რუსეთში, კრემლში ნაშოვნ ფულს, რომელიც დღეს პანამიდან შემოდის საქართველოში. ჩვენ გვეგონა, რომ ყველაფერი უკვე მიღწეული გვაქვს, თურმე ახლა იწყება ყველაფერი, 30 წლის შემდეგ, თავიდან. სანამ სული გვიდგას, სანამ ჯანი გვაქვს, სანამ ვიცით საქმე როგორ გავაკეთოთ, ყველა უნდა გავერთიანდეთ ჩვენი ქვეყნის გაერთიანებისთვის, რაც თავისუფლების გარეშე არ ხდება“.



ჰო, ჰო, ბატონო მამუკ, თავისუფლება ისე არ მოდის, თავისუფლება ლომთა ხვედრია... მაგრამ თქვენ ნამეტანი დაგაგვიანდათ, ეგ თავისუფლება მაშინ მოვიდა, როცა ძმაკაცებთან ერთად პროცენტებს ითვლიდით და ათეულობით მილიონი დოლარი ოფშორებში გაგქონდათ, მერე შემოგქონდათ და რაღაცებს მაქინაციობდით... დიახ, არ გატყუებთ, სწორედ მაშინ მოვიდა და გვერდით ისე ჩაგიარათ, ვერც კი შენიშნეთ... ვინც დღეს გატყუებთ, უფრო სწორად, გასულელებთ, თქვენ ხართ საქართველოს მშველელ გადამრჩენელიო, ის ან თქვენი მტერია, ან „აფერისტი“, ან კიდევ ფულს გამოკიდებული ავანტიურისტი. არ ვიცი, შეიძლება არც არავინ გასულელებთ და თვითონ იგონებთ ათასნაირ ზღაპრებს, რათა თავი გადაირჩინოთ. თუმცა, მგონია, რომ თავის გადარჩენის სურვილის გარდა უაზრო ამბიციებიც გაწუხებთ – ერის მამობა მოგინდომებიათ. ბატონო მამუკ, პაატა ბურჭულაძე გახსოვთ? ან კი რა დაგავიწყებთ? მაგასაც უნდოდა ერის მამობა, მაგრამ ბატის ჭუკივით გაასხა. ეროვნული ლიდერი რომ გახდეთ, მაგისთვის მხოლოდ სურვილი არ კმარა, კიდევ ბევრი რამეა საჭირო (ჩამოთვლა მეზარება. რომც არ მეზარებოდეს, ყველაფერი მე ხომ არ უნდა გასწავლოთ?). ბოლოს მაინც შეგახსენებთ: გვარი არ მახსოვს, ერთმა ჭკვიანმა კაცმა თქვა – სჯობს, ჩუმად იყო და ადამიანებს სულელი ეგონო, ვიდრე ხმა ამოიღო და ამით ყოველგვარი ეჭვი გაფანტოო. გაიგონეთ? თუ ჭკუა არ გაქვთ, ჩუმად მაინც იყავითო!

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

# ბავშვები – სექსმონები, პედოფილია, ადამიანებით ვაჭრობა, ტოტალური გარყვნილება – აი, თანამედროვე „პროგრესული“ მსოფლიოს ნამდვილი სახე



გასულ კვირას შინაგან საქმეთა სამინისტრომ არასრულწლოვნების პორნოგრაფიის უკანონოდ დამზადება-გასაღებისა და ტრეფიკინგის ბრალდებით ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის თერთმეტი წევრი დააკავა. გამოძიებას საქართველოსთან ერთად ევროპოლი, ამერიკის შეერთებული შტატების და ავსტრალიის სამართალდამცავი ორგანოები აწარმოებდნენ. ბრალდებულებს დანაშაულებრივ საქმიანობაში, მშობლების თანხმობით, ჩაბმული ჰყავდათ რვიდან თოთხმეტ წლამდე ასაკის, ათამდე არასრულწლოვანი გოგონა. საქმეზე დაკავებულია ცხრა საქართველოს და ორი უცხოეთის მოქალაქე. გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულ აშშ-ის და ავსტრალიის მოქალაქეებს, თბილისში, ნაქირავებ ბინებში კონსპირაციულად მოწყობილი ჰქონდათ ფოტოსალონები და უცხოეთში რეალიზაციის მიზნით არასრულწლოვნების გამოსახულების შემცველ პორნოგრაფიულ ნაწარმოებს ამზადებდნენ, რაშიც მათ ქართველი თანამზრახველები ეხმარებოდნენ. დანაშაულებრივი ჯგუფის ორგანიზატორები მოზარდების მშობლებს ფოტოების გადაღების სანაცვლოდ 500-დან 3000 ლარამდე თანხას უხდიდნენ. ანგარიშსწორება ხორციელდებოდა ხელზე ან საბანკო ტრანზაქციის გზით. გამოძიებით, ასევე, დადგინდა, რომ აშშ-ს მოქალაქე. დანაშაულებრივი გზით მოპოვებული თანხის განაღდებას თბილისში არსებულ სხვადასხვა სავაჭრო ცენტრში განთავსებული კრიპტომატებიდან ახდენდა. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია დააფიქსირა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. კერძოდ, საქართველოში აშშ-ს საელჩომ. სამწუხაროდ, სწორედ საერთაშორისო დონეზე გავრცელებულმა, ფესვგადმულმა, უმძიმესმა დანაშაულმა შემოაღწია ჩვენს ქვეყანაში და სამართლიანად აღშფოთებული სოციალური ქსელის მომხმარებლები სიკვდილით დასჯის ღონისძიების შემოღებასაც ითხოვენ და სკოლაში სექსუალური განათლების შემოღებასაც აპროტესტებენ. „არა — „სექსუალურ განათლებას“ სკოლებში! მშობლების მონაწილეობით ბავშვთა პორნოგრაფიის საქმეზე ატეხილი სკანდალი ე.წ. უფლებადამცველებმა სათავისოდ შემოატრიალეს და აკაკანდნენ, აი, რატომ არის საჭირო სკოლებში სექსუალური განათლების შეტანაო! ანუ, ბავშვმა უნდა იცოდეს, რომ მისი სხეული მისიაო!.. მაგალითად, ეს არის 5-8 წლის ბავშვებისთვის იუნისეფის (გაეროს) სტანდარტებით შედგენილი ილუსტრირებული წიგნი „სიყვარულის ანბანა“, სადაც შავით თეთრზე წერია:„ რას ნიშნავს სასიყვარულო ალერსი? სასიყვარულო ალერსის დროს ქალი და ვაჟი ერთმანეთს ნაზ სიტყვებს ეუბნებიან. საყვარელი ქალის და ვაჟის სხეულს ეფერებიან და კოცნიან. შეყვარებულ ქალ-ვაჟს ერთად ყოფნის დიდი სურვილი უჩნდება. ისინი ერთმანეთს ეხვევიან. ვაჟის პენისი დიდდება და ქალის სასქესო ორგანოში შეცურდება. სასიყვარულო ალერსი დიდი სიამოვნებაა. იგი განმარტოვებული ქალ-ვაჟის ნეტარების წუთებია, ამას ინტიმურობა ჰქვია. „აი, ეს არის „ბავშვთა სექსუალური განათლების უფლება! ანუ გარყვნა!!!“ წერს ერთ-ერთი მომხმარებელი. სხვა მომხმარებელი, გულისტკივილით აღნიშნავს, რომ „თუ რამე ღირებული შექმნილა ლიტერატურასა თუ პოეზიაში, მათი დიდი ნაწილი ან მეოცე საუკუნემდეა, ან მეოცე საუკუნით თარიღდება. ეხლა დეისაძის და შამუგიას „შედევრები“ მიიჩნევა ღირებულადაც და თანამედროვედაც. ადრე თუ სამშობლოსთვის თავდადებული გმირების მაგალითებად ცხრა ძმა ხერხეულიძე, პაატა სააკაძე და თევდორე მღვდელი მიიჩნეოდნენ, ეხლა პორნო ინდუსტრიის „ამომავალი ვარსკვლავები“ გვეზრდება და ეს ყველაფერი რწმენის უარყოფის, ღირებულებების გაუფასურებისა და გირჩების სკოლების გახსნისს ხარჯზე ხდება. რატომღაც, ვცდილობთ, მივბაძოთ უტრადიციო, უწარსულო და ურწმუნო სექტებს და მათი გაგებით არსებული “თავისუფლება” შევისისხლხორცოთ, არადა, ჩვენსას, გაცილებით უფრო ღირსეულს, ღირებულს და სიბრძნეზე ნაშენებს ვკარგავთ“.



მომხდარით გაოგნებული სოციალური ქსელის მომხმარებლები, საზარელი დანაშაულის ჩადენის სავარაუდო მიზეზებს განიხილავდნენ. ახალგაზრდა ყმაწვილი წერს — „ეს არც პირველია და არც უკანასკნელი... და გინდა ერთ-ერთი უდიდესი მიზეზი გითხრათ... მშობელს ჩამოართვეს შვილის დასჯის უფლება... მასწავლებელს ყურის აწევის და გაკიცხვის უფლება... შიში არავისი აქვთ... სიშიშვლე და ვულგარულობა იქცა სილამაზის აღქმის და თანამედროვეობის განუმეორებელ ეტალონად“. „ცოცხლად უნდა დაწვა კაცმა ეს ნაძირალა მშობლები... ვინც გარეულია ყველა... რომელი ქართველი ადვოკატიც მათ დაცვას დააპირებს... უნდა სისხლი არწყეინოს მთელმა ერმა... სად არიან ელგებეტეს დამცველები... სადაა ლომჯარია, ბერძენიშვილები, ბოკერიები, გვარამიები, გრიგოლიები, ტრაპაიძეები, აქუბარდიები, გუბაზები... ეს ძუკნის დაყრილი ბოზები მოაცილონ ამ ქვეყნიდან გარყვნილ-გამყიდველი ელიტა და პოლიტიკოსები მაგათ დედაც...“

ბავშვებზე სექსუალური ძალადობის შემცველი გამოსახულებების წარმოება და გავრცელება მსხვილ დანაშაულებრივ ბიზნესს წარმოადგენს, რომლის ღირებულება წელიწადში მილიარდობით დოლარით ფასდება. ამ ბიზნესის ყოველწლიური მოცულობა სხვადასხვა შეფასებით შეადგენს 3-დან 20 მილიარდ დოლარს (ეს რიცხვი მოყვანილია აშშ-ს გამოძიების ფედერალური ბიუროს მონაცემთა თანახმად). იმავე მონაცემებით, აღნიშნული მასალის 55% იქმნება აშშ-ში, ხოლო 23% — რუსეთში, დანარჩენი — სხვა ქვეყნებში. ამასთან, აშშ და რუსეთი ის ძირითადი ქვეყნებია, სადაც ამგვარი საიტები იქმნება. „უფასო წვდომის“ საიტების უმრავლესობა გამოვლენილი იქნა ინტერნეტ-პროვაიდერებთან რუსეთში, აშშ-ში, ესპანეთში, ტაილანდში, იაპონიასა და სამხრეთ კორეაში. ბავშვზე სექსუალური ძალადობის ამსახველი დიდი რაოდენობის მასალა ასევე ვრცელდება ვიდეო-ფორმატით ადგილობრივ ბაზრებზე.

მსოფლიოში 5-დან 14 წლამდე მომუშავე ბავშვების 7% ცხოვრობს ლათინურ ამერიკაში. ყოველი მეექვსე ბავშვი დაქირავებულია. ორ მილიონზე მეტი სექსუალურ ექსპლუატაციას განიცდის, ვინაიდან იზრდება სექსტურისტების რიცხვი, რომლებიც ჩამოდიან ცენტრალურ ამერიკაში. ამერიკაში დაბადებულთა გარდა, ადამიანებით პროფესიონალი მოვაჭრეები მრავალ ბავშვს ჰყიდიან სხვა ქვეყნებიდან და გზავნიან შეერთებულ შტატებში. 2010 წელს 8000-ზე მეტი ბავშვი-მიგრანტი იქნა დაკავებული ამერიკის შეერთებული შტატების საზღვრებზე და აეროპორტებში თანმხლებთა გარეშე. ქვეყნის იუსტიციის სამინისტროს გამოთვლებით, 100 000-დან 3 მილიონამდე ბავშვის ექსპლუატაცია ხდება სექსუალური მიზნებით ფულის, ნარკოტიკების, საკვები პროდუქტების ან თავშესაფერის სანაცვლოდ. 2013 წლის მდგომარეობით მხოლოდ შეერთებული შტატები და სომალი იყვნენ გაეროს ის წევრები, რომელთაც ჯერაც არ ჰქონდათ რატიფიცირებული ბავშვთა უფლებების კონვენცია. პროფესორი **ფერნანდო სავატერი** თავის კვლევაში „ბაშვთა მონობა“ წერს: „მილიონობით ბავშვი დაუცველია და ისინი სრულწლოვანებში ხედავენ უდიდეს საფრთხეს რომელიც მათ აძალებს მუშაობას ან პროსტიტუციას. ესაა კაცობრიობის ცოდვა“. ჰოლანდიაში ყოველ წელს ცხრიდან თხუთმეტ წლამდე სულ მცირე 320 ჰოლანდიელი გოგოა სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლი.

სამწუხაროდ, პროგრესისტს



აღარ ესმის თუ რაა ცოდვა და ის განაგრძობს თავის „მოღვაწეობას“. გერმანელ მემარცხენეებს აქვთ უკანონობათა თავისი ისტორიები. 1968 წლიდან გერმანული მოძრაობის ერთ-ერთი მიზანი იყო ბავშვების სექსუალური განთავისუფლება.ზოგის თქმით ეს იყო ყველანაირი სექსუალური შეზღუდვა-აკრძალვის გადალახვა და შექმნა ატმოსფეროსი სადაც და როდესაც პედოფილიაც კი ჩაითვლებოდა პროგრესულ რამედ. დოქტორმა ურსულა ბესერმა რომელიც გახლდათ ბერლინის პარლამენტის წევრი და კურირებდა განათლების კომიტეტს ჰქონდა უსამართლობასთან მებრძოლის რეპუტაცია. მოიპოვა უტყუარი ინფორმაცია ბერლინის კროისბერგის სკოლის გახანგრძლივებული დღის ცენტრში საგანმანათლებლო მუშაობის შესახებ. ამ ცენტრში ნაშუადღევიდან მოყოლებული ანათლებდნენ რვიდან თოთხმეტ წლამდე ბავშვებს. ცენტრის მიზანი იყო ბავშვების გადაქცევა „სოციალისტ პიროვნებებად“. პროგრამაში იყო აგიტაცია-პროპაგანდა ვითარებაზე ვიეტნამში და „ქუჩის ბრძოლები“ სადაც ბავშვები დაყოფილები იყვნენ „შტუდენტებად“ და „პოლიციელებად“. აღმზრდელთა შენიშვნებში ნათქვამია რომ ისინი ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სექსუალურ აღზრდას. თითქმის ყოველ დღე მოწაფეები თამაშობდნენ და თამაშ-თამაშ ტიტვლდებოდნენ, ერთად კითხულობდნენ პორნოჟურნალებს და იყო სექსუალურ ურთიერთობათა პანტომიმა. არქივების თანახმად მათ მოაწყვეს „სექსუალური ვარჯიში“ და შემდეგ „საათის კახპა“. სწავლის დაწყება იკითხება ასე: „წამოწოლით ჩვენ მრავალჯერ ღიად თუ ფარულად გამოვიწვიეთ სექსუალური ჩაგონებები რომლებიც შემდეგ დაბალ მაგიდაზე პანტომიმით ჩვენს წინ როგორც სცენა გამოხატეს კურტმა და რიტამ.“ ბავშვების სექსუალური განთავისუფლება. ამ სტუდენტური მოძრაობის ქვეპროდუქტი წარუდგინეს ფართო საზოგადოებას. დადასტურდა რომ სკოლის ცენტრის უკან იყო ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი. ამ ინსტიტუტმა შექმნა ცენტრი და დანიშნა იქ მოსამსახურე აღმზრდელები. რომლებიც, საგანგებოდ მოწყობილი სარდაფში აკვირდებოდნეენ ბავშვების სექსუალურ ქცევას... კათოლიკე სამღვდელოების პედოფილიაზე ბევრს ლაპარაკობენ, არადა ბავშვობის ეროტიზაცია და ტაბუ-აკრძალვების მოსპობა დაიწყეს პროგრესისტებმა. ამ ცვლილებებმა შესაძლებელი გახადეს სექსუალური ურთიერთობები ბავშვებთან. საერო არარელიგიურ პანსიონატში მომხდარმა ამბებმა აჩვენეს რომ მოწოდებები რეფორმისკენ დაკავშირებული იყო აკრძალვის მოხსნასთან. სოციალური რევოლუციონერები ამტკიცებდნენ, რომ სექსუალური წადილის კონტროლი იყო ბატონობის იარაღი რომელსაც ბურჟუაზიული საზოგადოება იყენებდა თავისი ძალაუფლების დასაცად. რადიკალ სტუდენტებს სწამდათ, რომ ნამდვილად თავისუფლები არიან მხოლოდ სექსუალური ჩაგვრა-რეპრესიისგან თავისუფალნი. სექსუალური რევოლუციონერების აზრით სექსუალური რევოლუცია უნდა დაწყებულიყო რაც შეიძლება ადრეული ასაკიდან, ლამის აკვნიდან, როგორც კი გაჩნდებოდა სექსუალური გრძნობების თუნდაც ბუნდოვნად და შორეულად მსგავსი რამე.

წლების წინ ბელგიაში ასიათასობით ადამიანი გამოვიდა ქუჩაში და ხელისუფლებაში მოკალათებული „დამცველები“იძულებული გახადეს დამნაშავეები უმკაცრესად დაესაჯათ. სკანდალში არაერთხელ გაეხვა დიდი ბრიტანეთის არაერთი უმაღლესი თანამდებობის პირიც. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბოლშევიკების მაგინებლები სინამდვილეში მათი მემკვიდრეები და მიმდევრები არიან. გერმანიის კანცლერი ვილჰელმ მეორის მიერ დაქირავებული ლენინის ბოლშევიზმი არ კმაყოფილდებოდა პოლიტიკური და სოციალური სტრუქტურების, ქვეყნის ნგრევით და გატიალებით. ის ანგრევდა ადამიანის საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებულ ფსიქიკას, ისტორიულ კულტურას და ცივილიზაციას.

აღსანიშნავია, რომ 1917 წლის დეკემბერში ანუ ძალაუფლების აღებიდან რამოდენიმე კვირის შემდეგ ლენინის მთავრობამ გამოაცხადა რომ ჰომოსექსუალობა ბუნებრივი რამეა და არა დანაშაული. ლგბტ ინდივიდების სახელმწიფო შევიწროება შეწყდა. 1922 წელს მიიღეს ახალი სისხლის სამართლის კოდექსი. „ლგბტ“



ინდივიდთა საწინააღმდეგო კანონები გაქრა. დაშვებული იქნა ჰომოსექსუალების სახელმწიფო თანამდებობებზე დანიშვნა. რაც შეეხება. ტრანსსექსუალებს, 1926 წელს შესაძლებელი გახდა პასპორტებში სქესის თავისუფლად შეცვლა. 1917 წლის ოქტომბრიდან გარდაქმნების დაჯამებისას მოსკოვის სოციალური ჰიგიენის ინსტიტუტის დირექტორი გრიგორი ბატკისი 1923 წელს წერდა: „დღევანდელი სექსუალური კანონმდებლობა საბჭოთა კავშირში არის ოქტომბრის რევოლუციის ნაყოფი... მისი განცხადებით, სახელმწიფო და საზოგადოება კანონით ვერ ჩაერეოდა სექსუალურ ურთიერთობებში თუ კი ისინი არავის უშავებენ არაფერს და არ იყო საზარალო ვინმეს ინტერესებისთვის... აღნიშნულ წლებში, ჰომოსექსუალობა, სოდომია და სექსუალური დაკმაყოფილების სხვა ფორმები რომლებიც ევროპულ კანონმდებლობაში წარმოდგენილია როგორც საჯარო მორალის დარღვევა, საბჭოთა კანონმდებლობაში გათანაბრებულია ასე ვთქვათ ნორმალურ სექსუალურ ურთიერთობასთან.

ბოლშევიკები ატარებდნენ სქესის შემცვლელ ქირურგიულ ოპერაციებსაც, ფიქრობდნენ ტრანსგენდერობაზე.ამ დროს ჰომოსექსუალებს დიდი ხნით აპატიმრებდნენ ინგლისში და გერმანიაში. ამ თვალსაზრისით ევროპა ჩამორჩებოდა ბოლშევიკურ რუსეთს.ფორდის ტრაქტორების და ტაჩანკების მოყვარული ასეთი პროგრესისტული „სამოთხე“ 1933–34 წლებში მოსპო სტალინმა. ჰომოსექსუალობა ისევ გამოცხადდა დანაშაულად. 1968 წელს ლენინური სექსუალური ბოლშევიზმი გაცოცხლდა.ევროპაში. პორნოგრაფია გადაიქცა ვირტუალურ გაუპატიურებად და სექსუალურ აგრესიად. დიდი მოგების შესაძლებლობა უბიძგებს ძალადობის და ქალთა და მოზარდთა დამცირების გადაღებისკენ და გადაღებულის გავრცელებისკენ. სხვა სიტყვებით პორნოგრაფია არის წმინდა კომერციული წამოწყება, ბიზნესი რომელიც უმიზეზოდ, გართობის და ვიღაცეების ჟინის დაკმაყოფილების მიზნით აუპატიურებს და რყვნის ქალებს და გოგოებს, პერიოდულად მამაკაცებსაც. პორნოგრაფიით დაკავებული ბიზნესმენები შოულობენ უზომო ფულს.

ეს იწვევს სქესთა ურთიერთობის გადაგვარებასმ ქმნის კულტურას რომელშიც სექსუალური აგრესიები ბანალური ჩვეულებრივი რამეა და ქალები წარმოდგენილი არიან როგორც მარტო მამაკაცის მხეცური ინსტინქტების დაკმაყოფილებისთვის ვარგისი არსებები. პორნოგრაფია ქმნის შთაბეჭდილებას რომ სექსუალური ძალადობით საცსე ცხოვრება ნორმალური რამეა და რომ ქორწინება მეტისმეტად ზღუდავს მამაკაცებს. პორნოგრაფია ცვლის მაყურებელთა ტვინის ქიმიას ისე რომ სექსს აღარა აქვს არანაირი კავშირი რეალურ პორნოგრაფია იოლადაა ხელმისაწვდომი ახალგაზრდებისთვის. დღეს თითქმის ყოველ მოზარდს აქვს მობილური ტელეფონი მაშ სულ არაა გასაკვირი რომ 5000-ზე მეტი ახალგაზრდა კანადელის ზონდაჟმა **(Mediasmarts, 2014)** აჩვენა რომ მე-7 კლასის მოწაფეთა 10%, მე-8 კლასის მოწაფეთა 33%, მე-9 კლასის მოწაფეთა 50%, მე-10-მე-11 კლასის მოწაფეთა დაახლოებით 66% ათვალიერებენ პორნოგრაფიულ საიტებს და მათი 40% ამას აკეთებს ყოველ დღე. პორნოგრაფია იქცა სექსუალურ აღზრდად. ამის შედეგები ბიჭებისთვის კატასტროფულია. პორნოგრაფია ანგრევს ბიჭების ცხოვრებას და მათ მომავალ ურთიერთობებს ქალებთან. ის სპობს ქორწინებას და ოჯახურ ცხოვრებას როგორც ამაზე მოწმობს ის რომ გაყრათა 50% ამიერიდან განპირობებულია იმით რომ პარტნიორი მეტისმეტად დაჩვეულია პორნოგრაფიით გაშტერებას. სკოლაში სექსუალური აღზრდის პროგრამები კი ძალიან საშიშია. პორნოგრაფიას. სექსუალური აღზრდის სასკოლო პროგრამები ბავშვებს უმალავენ რომ სექსი დაკავშირებულია მნიშვნელოვან ხანგრძლივ ურთიერთობებთან, ქორწინებასთან. ამბობენ რომ პორნოგრაფია დაცული უნდა იყოს იმიტომ რომ ამას მოითხოვს გამოხატვის და გამოთქმის თავისუფლების უფლების ქარტია, მაგრამ ეს თავისუფლება არაფრად აგდებს იმათ უფლებებს ვისაც ვნებს ეს პორნოგრაფია. არადა პორნოგრაფია ვნებს ყველას იმიტომ რომ მას წვლილი შეაქვს ადამიანთა გადაგვარებაში და ანგრევს ქორწინების ინსტიტუტს.

ამ პროცესებს ხელს უწყობენ გაეროც, ევროკავშირიც, თითქმის ყველა არასამთავრობო ორგანიზაცია და ზოგი მულტინაციონალური ორგანიზაციაც და მასობრივი ინფორმაციის ტრადიციული საშუალებებიც.სქესის, გენრე-ს იდეოლოგია სახელმწიფო ძალით ცვლის იურიდიულ სისტემას და ბავშვთა სექსუალიზაციას. ამას გარდა ეს იდეოლოგია ადამიანებს თავში ჩაუჭედეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა, კინემატოგრაფმა, მუსიკამ და პორნოგრაფიამ. პორნოგრაფია არის, მილიარდობით დოლარის მომტანი ბიზნესი. პორნოგრაფიიის ყურებას ადამიანი ისევე ეჩვევა როგორც კოკაინს და ექსტაზს. პორნოგრაფია ანგრევს ქორწინებებს და ოჯახებს და უბიძგებს ადამიანს სექსუალური დანაშაულის ჩადენისკენ.

კალიფორნიაში გადაიღეს დაახლოებით 10 000 პორნოგრაფიული ფილმი. ამ ბიზნესში მუშაობს 20 000 ვინმე, მათ შორის 700 რეგულარული „ვარსკვლავი“. ყოველწლიურად იგებენ დაახლოებით 53 მილიარდ ევროს. 18 მილიარდს მარტო ვიდეოებისთვის. კიბერსექსი შეადგენს ინტერნეტით ვაჭრობის 25%-ს. პორნოგრაფიას ინტერნეტით მიშტერებულთა სამი მეოთხედი კაცია, ერთი მეოთხედი-ქალი. სექსუალურ ობიექტებად აქციეს დაახლოებით 700 000 მცირეწლოვანი ბავშვი. მათ ყიდიან და ყიდულობენ. აზიაში, აფრიკაში, ლათინურ ამერიკაში და აღმოსავლეთ ევროპაში გავრცელდა სექსუალური ტურიზმი. მოკლედ, მსოფლიო სექსუალური რევოლუციის ქარცეცხლმა წალეკა.

**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30



# მეოცნებე, ნაღვლიან თვალებში

## მოთხრობა

გულო კობიაშვილი:

ტყის პირი. კაკლის ჩერო, ჩეროში უწესრიგოდ მიყრილ-მოყრილი ზურგჩანთები. ყვითელ ზურგჩანთას მისვენებული ყვითელი ქალი მიბნედილ მზერას არ აშორებს ვაჟს.

ვაჟი, — მზით გარუჯულ სახეზე სიყვარულით გაბრწყინებული თაფლისფერი, კეთილი, კეთილი თვალები, შუბლზე ჩამოშლილი წაბლისფერი თმა, მუხლებზე წაჩოქილი, იდაყვით დაყრდნობია მოლისფერ ზურგჩანთას:

— ჰო, დიკენსზე მოგიყევით...



კიდევ ვინ მიყვარს, იცით? სტერნი. ლორენს სტერნი. მთელი თვეა გაოგნებული დავდივარ. ვნანობ, აქამდე რომ არ ვიცნობდი. თანაც, თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა ბედნიერებაა დედანში წაკითხვა. პირველივე წიგნით მოიხვეჭა აღიარება ლონდონში. ლონდონის შემდეგ წარმატება ევროპაში. ვოლტერი რემბრანდტის გვერდით უჩენს ადგილს, როგორც გენიალურ მხატვარს. უცებ მთელი მსოფლიოს საყვარელი კერპი ხდება და თქვენ გგონიათ, ამხელა წარმატება თავბრუს ახვევს? პირიქით, ირონიით წერს ბობოლებზე, რომელნიც ყველანაირად ცდილობენ მისდამი ყურადღების გამოჩენას. რა მახვილგონიერება, რა გრძნობების სიღრმე! ტრაგიკული, არნახული სიყვარულით უყვარს ელაიზა დრეიპერი... ახ, რა სამწუხაროა ხოლმე ასეთი ადამიანების ადრეული სიკვდილი!

იცით, ლესნიგს უთქვამს, სიამოვნებით დავთმობდი ათი წლის სიცოცხლეს, ერთი წლით მაინც რომ გაგრძელებულიყო სტერნის სიცოცხლეო. ასეთი ადამიანისათვის მეც დავთმობდი სიცოცხლეს. საქართველოში, მაგალითად, ვისთვის დავთმობდი, იცით? — ვაჟი თვალს ჭუტავს და ჩაფიქრებული აჰყურებს კაკალს. ალერსით დასთამაშებს სახეზე ფოთლებსშუა გამოპარული მზის ათინათი.

„სტერნი... სტერნი კი არა მურმანის ეკალი... გიჟია ოხერი, რაზე კარგავს დროს, რაზე ილევა. არა და ჯერ არ ჩანს არავინ. ალბათ არც გამოჩნდებიან. ჰმ, რამდენი ვიწვალე, რომ ამასთან მარტო დავრჩენილიყავი, ეს კიდევ...“ — ქალი ბრაზით ათვალიერებს ვაჟის კუნთმაგარ სხეულს, დახვეწილ სახეს — ჰმ!

— იცით... იცით, მარტო ათ წელიწადს კი არა, მთელ სიცოცხლეს ვის შევწირავდი? დავით აღმაშენებელს და ილია ჭავჭავაძეს. აი, ვინ გვჭირდება ახლა. ან ერთი, ან მეორე. თქვენ ხედავთ, როგორაა დაბნეული ჩვენი ხალხი? ძლივს, თავისუფლებისათვის ბრძოლის დრო დაგვიდგა და როგორ ვიბრძვით...

— როგორ?! — ცივად კითხულობს ქალი და ამთქნარებს, — შენ რაო, არ მოგწონს?

— პატრიოტულ მოძრაობაზე იმდენი რამე წამიკითხავს, — თვალები უნაღვლიანდება უცებ ვაჟს, — და ყოველთვის ისე ამაღლებული... ვოცნებობდი ხოლმე მოვეკალი ვინმეს მეც, მამულის სიყვარულისთვის, იცით, შარშანდლამდეც კი თითქმის ყოველღამ ძილის წინ ოცნებით სამშობლოსათვის ვკვდებოდი, აი, ასე, შუაზეგადაჩეხილი, — მკერდზე ირიბად ისვამს ხელს და მეოცნებე ფართო თვალებში ღიმილი უდგება, — და ყოველღამ, ყოველისიკვდილის წინ ორად ორ სახელს ვამბობდი მხოლოდ.

— ერთი ალბათ საქართველო. მეორე? — დაცინვით ეკითხება ქალი, — ალბათ საყვარელი ადამიანი?

— ო, დიახ! — რატომღაც წითლდება ვაჟი და უხერხულად აჰყურებს კაკალს, — იცით, განსაკუთრებით მიყვარს კაკალი.

— თხილი?! — თანდათან ერევა სიბრაზე ქალს.

— საჭმელად კი არა, — ეცინება ვაჟს, — კაკალს ჩვენი ხალხის გადარჩენაში რამხელა წვლილი მიუძღვის, იცით? ძიძა იყო ჩვენი მარადი. მუდმივად მტრისგან დაწიოკებულთ, ამოწყვეტის პირას მისულთ, როცა ხვნასაც ვეღარ ვახერხებდით და თესვასაც, კაკალი გვინარჩუნებდა სიცოცხლეს კლდე-ღრეებს შეხიზნულთ; რა გულისამაჩუყებელია, არა?

— გადასარევი! — კბილებსშუა ცრის ქალი, — ესე იგი, ასე ძალიან გიყვარს სამშობლო, არა?!

მიტინგებზე თუ დადიხარ ერთო.

— არა, — ნაღვლიანად აქნევს თავს ვაჟი.

— ჰმ, ასეც ვიცოდი, — დაცინვით ამბობს ქალი და ფეხებს გამომწვევად შლის ბიჭის წინ.

— ვიყავი რამდენჯერმე — დაცინვას ვერ ხვდება ვაჟი, — ცილისწამების, ლანძღვა-გინების, სიძულვილის მეტი ვერ ვნახე ვერაფერი. თანაც რა საშიშია მასისთვის, რომ იცოდეთ, სიძულ-ვილის ეს საჯარო გაკვეთილები; ჰმ, ისიც კი არ იცის თითქმის არავინ, კონკრეტულად ვინაა სამშობლოს მტერი.

— ოჰო-ო! — წელში მკაცრად სწორდება ქალი, — შენ რაო, ვერ ხვდები, შეურაცხყოფას რომ აყენებ ამით ეროვნულ მოძრაობას?

— მე არა, თვითონ.

— რა, თვითონ?!

— თვითონ აყენებენ შეურაცხყოფას.

— ვის? — წარბს იკრავს გაწიწმატებული ქალი.

— სიყვარულს, სიკეთეს, პატრიოტიზმს.

— რითი, მაინც?

— იცით, სიძულვილით ბრძოლა არ შეიძლება. თანაც რა უბედურებაა, უკაცრავად და ამდენი კახპა ქალი. კახპების რევოლუცია გეგონება პირდაპირ. კი, წამიკითხავს, კურტიზანი ქალებიც ღებულობდნენ ყველანაირ მოძრაობაში მონაწილეობას, მაგრამ არა ხმის უფლებით.

ამიტომაცაა ალბათ ყველაფერი ასე მდაბიური და ასე გაჟღენთილი სიძულვილით.

— მტერი გძულდეს უნდა, აბა გიყვარდეს?!

— დიახ, — ეღიმება ვაჟს, — სწორედაც რომ უნდა გიყვარდეს მტერი შენი.

— ვინ? რუსი მიყვარდეს, რუსი?!

— რუსია შენი მტერი? — ნაღვლიანად ეღიმება და თავს აქნევს ვაჟი, — თქვენ მართლა არ იცით, ვინაა მტერი და თუ ოდესმე მაინც გაიგებთ, გვიან იქნება უკვე ალბათ.

— შენ რაო, ხომ არ გინდა გამაგიჟო? — დოინჯს იყრის ფეხზე ფიცხლად წამომხტარი ქალი და გააფთრებით დაჰყურებს თავზე ვაჟს, — დიახ, არ იცი, რომ არ მინდა მონობა? არ იცი, რომ თავისუფლებისათვის სიკვდილი სჯობს მონობაში სიცოცხლეს?

— ოღონდ ცალკეული პიროვნებების და არა ერის, — დაღლილი ხმით ამბობს ბიჭი და უცებ საშინლად უნაღვლიანდება სახე, — იცით, მე თქვენი სიკვდილი კი არ მადარდებს.

— აჰ, არც მიფიქრია! — სარკასტულად ხარხარებს გაანჩხლებული ქალი, — ეჭვიც არ მეპარება, თქვენ მარტო შტერნის სიკვდილი თუ შეგაწუხებ თ. მთელი ქართველობა რომ ამოწყდეს, ფეხებზე დაიკიდებთ ალბათ.

— ღმერთმა დაგვიფაროს! — პირჯვარს იწერს შეშფოთებული ბიჭი, — თქვენ ვერ გამიგეთ. მე თქვენი, კონკრეტულად პეტრეს, პავლეს, ჩემი სიკვდილი კი არ მაშინებს, მე ერის სიკვდილი, ნებაყოფლობითი ხარაკირი მაშინებს სწორედ, როგორც თქვენ ბრძანეთ და როგორც მიტინგზე ამბობენ. ამით ხომ მარტო მე, თქვენ, პეტრე და პავლე არ მოვკვდებით, ამით ხომ შოთა მოკვდება, ილია, ვაჟა, დავითი. გიფიქრიათ ამაზე?

— აბა, რა გინდა, მონავ? — ზიზღით ათვალიერებს ქალი ვაჟს, — მონობაში განვაგრძოთ სიცოცხლე? და რა ფასი აქვს, რა შეჰქმენი ფასეული თუნდაც მონობის ამ ორასი წლის მანძილზე?

— ჰმ! მეორე მიტინგზე მოვისმინე სწორედ ის, რაც ახლა თქვი თ. იცით, უნიჭო ხალხის თავისმართლებაა ეგ და სხვა არაფერი. მარტო ბოლო, ყველაზე საშინელი პერიოდის ორ პოეტს დაგისახელებთ, ნებისმიერ თავისუფალ, თუნდაც უზარმაზარ იმპერიას რომ დაამშვენებდა თავისმოსაწონებლად. გალაკტიონი და ანა! ახლა ხვდებით, რომ მონობა არაფერ შუაშია ხელოვნებასთან? ანდა როდის ვიყავით გალაღებულნი, როდის გვეცალა მარტო საწერად და ასაშენებლად?

— მონა!

— არ ვარ მე მონა, არც ვყოფილვარ არასდროს, — ღმობიე-



რად ულიმის ვაჟი ქალს, — დაბრძანდით და ისე მომისმინეთ, რატომ არ გიყვართ თქვენ სხვისი აზრების შეწყნარება.

დიახ, თავისუფლება, დამოუკიდებლობა უნდა მოვიპოვოთ, ჩვენც, რუსებმაც, თხუთმეტივე რესპუბლიკამ, მაგრამ არა სიძულვილით.

— ნუ წაიღე ტვინი ერთი მაგ შენი სიყვარულით, — არ გაახურა! — მსუბუქი ყოფაქცევის ქალის მანერით აქნევს ხელს ქალი, — სიყვარულის თავი რომ გქონოდა, ამაზე კი არ ილაქლაქებდი ასეთ დროს.

— როგორ დროს? — ვერ ხვდება ვაჟი.

— როგორს და... — დაცინვით შეჰყურებს ქალი, — მორჩი ახლა, კიდევ კარგი, შენსავით ტვინდაბნელებული არაა ამ ქვეყანაზე ყველა და მოვიცილებთ კიდევაც მალე რუსეთის უღელს.

— რათა ქედი უფრო საშინელს წავუშვიროთ, არა? — სასოწარკვეთით ეშვება მუხლებზე ვაჟი, — ღმერთო, რა სწორად თქვა ვიღაცამ: «ისტორია გვასწავლის მხოლოდ იმას, რომ ისტორია ვერაფერს გვასწავლის»... თუ, უკაცრავად, ერეკლე მეფეზე და ქეთევან წამებულზე მეტად გიყვართ სამშობლო?

— მაგ შენმა ერეკლემ დაგვღუპა ერთხელ და მადლობა ღმერთს, გვყავს ახლა მაინც, ჭკვიან ხალხი.

— მისმინეთ, ორი საქართველო გვაქვს აგერ თვალწინ: ერთი თურქეთის, ერთი რუსეთის. აქვს თურქეთის საქართველოს თავისი სარწმუნოება, ენა, კულტურა, ყველაფერი ის, რითიც ერს ერობა ეთქმის? ჩვენ, რუსეთის საქართვე-







ლოს?! და რატომ, თუ იცით, ასე თუ ისე, მაინც ერთმორწმუნეობის გამო. და კიდევ იმის გამო, რომ მეფემ, ლამის აკვნიდანვე ხმალს რომ იქნევდა მამულისათვის, ირგვლივ მოჯარულ მტერთაგან ნაკლებ საშიში ამოარჩია მცველად. არც დასავლეთისკენ გაუხედავს და...

– რუსეთის საქართველოს რაღა ბუს კვერცხები აქვს, ბატონო მონავ? – ისევ გააფთრებით წივის ქალი, – ანდა რატომ გგონია ახლა, ამ საუკუნეში, თურქი ან სპარსი საშიში? აი, შედეგი იმისი, მიტინგებზე რომ არ დადიხარ. ამიტომაც არ გაგეგება არაფერი, ჩემი ბიჭი, – დაცინვით უჩეჩავს იგი ვაჟს ქოჩორს, – თულქი და სპალსი აღალაა საშიში, ალა! შეუშვი მაგ საწყალ თავში, რომ მეოცე საუკუნის ბოლოა ახლა.

– ხოლო კუვეიტში მეხუთე საუკუნე, არა?! თანაც ჩვენ რამდენი ხანია გეოგრაფიული გარემო შევიცვალეთ, ვცხოვრობთ ქრისტიანებით გარემოცულ ცივილიზებულ სამყაროში, ირგვლივ ჭაჭანება აღარაა მტრის. მთელი კაცობრიობა ერთმანეთს სიყვარულს ეფიცება, რომ რელიგიებს შორის აღარავითარი ბრძოლა აღარაა... – უკაცრავად, – უცებ წითლდება ბიჭი, – როგორ გელაპარაკებით ლამის დედის ტოლ ქალს, მაგრამ...

– მონავ, შე მონავ, მართლა! ლაწირაკო! – საბოლოოდ გამოდის მოთმინებიდან გააფთრებული ქალი, – განა ერთმორწმუნე რუსეთმა არ დაგინგრია ეკლესიები და არ წაგართვა ის შენი საყვარელი ღმერთი?

– იმაზეც თუ გიფიქრიათ ოდესმე, თვითონ რუსეთს ვიღამ დაუნგრია ეკლესიები და ვინ წაართვა სარწმუნოება?! – გაფაციცებით აჰყურებს ბიჭი ქალს, – ვინ დაუხოცა არისტოკრატია, ინტელიგენცია? არა, ყველაფერი ეს რუსმა, ისევე როგორც აქ ქართველმა, თავისივე ხელით ჩაიდინა, მაგრამ ვისი შთაგონებით?

– მორჩი, კაცო, ერთი, ჭკუა არა მაქვს მეც, შენ რომ აგყევი, – ბრაზით ატრიალებს გვერდზე თავს ქალი.

– ჩვენც დამოუკიდებელნი უნდა ვიყოთ, რუსეთიც და ვიმეგობროთ უნდა, როგორც მართლმადიდებელმა ქვეყნებმა.

– ისევ ერეკლეს შეცდომა გავიმეოროთ, არა? საცოდავო შენ, რუსმა თუ არ გვიბატონა, ისე ვერ ვიცოცხლებთ, არა?

– გვიბატონოს კი არა, გვიმეგობროს უნდა, როგორც მართლმადიდებელმა, თორემ ფიზიკურად თუ არა, ეკონომიკურად მაინც დაგვიპყრობს ვინმე უარესი. ვიცოცხლებთ, მაგრამ რა, ჩვენი აღარ გვექნება არაფერი და ასე მოვკვდებით ცოცხლად მეც, თქვენც, პეტრეც, პავლეც და რაც მთავარია, შოთა, ილია, ვაჟა, დავითი... იცით, მე ახლა არ გამიღვიძია, მე მართლა მიყვარს და გული მიგრძნობს ამიტომ, რაცაა უკეთესი. ხუთასი ათას შვიდასი ვიყავით დარჩენილი რიცხობრივად, მეფემ რუსეთთან რომ შეგვაერთა.

– და საბოლოოდაც დაგვლუ-



პა! – რატომღაც გვერდზე აფურთხებს ქალი.

– ღმერთო, რატომ არის თქვენთან საუბარი ასე ძნელი? აბა ახლა პირიქით წარმოიდგინეთ, თქვენ ისტორია იცით კარგად? მიტინგებზე ნასწავლს არ გეკითხებით.

– არ სჭირდება, ბატონო, მაგას ცოდნა და განათლება და მოკეტე ახლა, თუ ძმა ხარ. შენ რომ გისმინოს კაცმა, მთელი ცხოვრება მტერი თუ არ გვეყოლა...

– იცით, მაგაზეც რომ მიფიქრია? – უცებ ალალად ეღიმება ბიჭს, – უფალმა ჩვენზე უკეთ იცის ჩვენი ბუნება. ჩვენ თუ საერთო მტერი არ გვეყოლა, ჩვენი ხელითვე ამოვჟუჟავთ ერთმანეთს.

– ჰოო, მონავ? – ქირქილებს ქალი.

– ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით, თუმცა არც მთლად, – მხარს იჩეჩავს ბიჭი, – აი, რომ ვიყოთ მართლა უსაფრთხო, თავისუფალი ქვეყანა და დავითივით გვყავდეს მეფედ ვინმე, მაშინ კი, იცოცხლე, მოუვლიდა გარეწარს, ყველას, სათითაოდ.

– ააჰ, – ოხრავს ქალი, – ვის გადაგეყარე, წავთრეულიყავი მეც მდინარეზე. უიმეე! ძლივს ადამიანი არ გამოჩნდა?! – მართლა სიხარულით იშვერს ხელს ქალი აღმართზე ამომავალი მკერდგაბანჯგვლული კაცისკენ, – შენ კიდევ, ლუკა, რას გეტყვი, იცი? მეცოდები მაინც და ამიტომ გაფრთხილებ, ამასთან ასეთი ლაპარაკი არ დაიწყო, თორემ ხომ იცი, რომელი

პარტიის წევრიცაა...

– ვიცი, – ნაღვლიანად, უილაჯოდ იღიმება ბიჭი, – ჩემთანაც სწავლობენ მაგ პარტიის წევრები. ამასწინაც ერთმა ცხვირი დააცემინა, – ეცინება ბიჭს, – და მეორემ მიაძახა აღტაცებით: სამშობლოს თავისუფლება, მაკუშ! წარმოგიდგენიათ, საკუთარ ცხვირებამდე ჰყავთ დაყვანილი ეს ულამაზეს იგრძნობა, პატრიოტიზმი. ეჰ, სძინებოდათ ნეტავი ისევ, რა საშინლად გამოიღვიძეს ბნელში დამწყვდეული ხარებივით და ეტაკნენ მტერს კი არა, მტერი, ხომ გითხარით, არც იციან, ვინაა, – ვისიც კი რამე შურდათ, და განსაკუთრებით ინტელიგენციას. სიბნელე ხომ სინათლეს ებრძვის ყოველთვის, უჭკუობა – ინტელექტს, სიმახინჯე – მშვენიერებას...

ეეჰ, ჩვენი პატარა, საწყალი სამშობლო. დედასავით, მამასავით კი არაა ჩვენთვის, ისე, როგორც დიდი, ძლევამოსილი ქვეყანა თავის მრავალრიცხოვან შვილთათვის, არა, ობოლი, თოთო ბავშვივითაა, მტერთაგან ასე ყოველმხრივ ალყაში მოქცეული და თითოეული ჩვენგანის დამოკიდებულება მისდამი როგორი უნდა იყოს, იცით? როგორც დედის, რომელიც უძლურია თვითონ უპატრონოს შვილს მარტომ, შეჰყურებს შეშფოთებული გარსშემოხვეულ ყაჩაღებს, რომელთაგან ზოგს სულიერადაც და ფიზიკურადაც მთლიანად სურს ბავშვის მოსპობა, ზოგს ოქრომკედით ნაქარგი სამოსელი აინტერესებს მისგან მხოლოდ, სამაგიეროდ კი სიცოცხლეს, საკუთარივე ფესვზე გაზრდას ჰპირდება და ყალბად თუ მართლა, პირჯვარსაც იწერს ამის თავდებად... და თანაც, ხომ არსებობს მართლა ღმერთი, უფალი ჩვენი, იესო. – ჩაიგდე ენა ახლა, თორემ მართლა აღარ დაგინდობ, იცოდე! – სისინებს ქალი და თვალებგაბრწყინებული ეგებება ქოშინით მოახლოებულ მკერდბანჯგვლიანს, – შენ შემოგევლე, რა კარგ დროს მოხვედი, თემო, მოვკვდი ამასთან რა, ასე მეგონა, მარტო ვიყავი.

– დედა ვატირე იმათი, – აბოყინებს თემო და შიშველ მუცელზე ხელს ძალუმად იტყაპუნებს, – ის ვერ მომინელებია, აქ რომ წამოგყევით და ახლა კიდევ მდინარე და იქ ხეტიალი. მერე კიდევ ის პიჟონი, ნუგზარას წამოყვანილი – მერაბა მესხის პარტიიდან ყოფილა. კინაღამ ჩავაძაღლე იქვე, ვა, ბიჭო, არ გამიბა ბაზარი?! რაო, ეს რა ტიპია, რამე ხომ არ გაკადრა.

– მაკადრა კი არა, – რატომღაც დანანებით ამბობს ქალი, – ენციკლოპედიაა ცოცხალი.

ვიღაც მწერალს ვიღაც ქალი ჰყვარებია ტრაგიკულად და არნახულად, თანაც ნაადრევად მომკვდარა. ორი საათია იმაზე ტირის.

– შენ, შენც ხომ არ გიყვარს ვინმე, ჩემი ბიჭი, ასევე ტრაგიკულად და ასევე არნახულად? – რატომღაც პისტოლეტს იღებს ჯიბიდან და ასევე რატომღაც კაკალს უმიზნებს კაცი, – ნახე, ჩავსვი ტყვია შიგ კაკალ გულში, – თავისივე ხუმრობაზე თვითონვე ხითხითებს და ასევე პისტოლეტშემართული იშხლართება მოლზე, – ჰა, გიყვარს? – ქალის კალთაზე დადებულ თავს მაღლა სწევს და თვალს მკაცრად უსწორებს ბიჭს, – რომელ პარტიაში ხარ?!

ბიჭი არ პასუხობს. ლოყით ეხუტება ბებერი კაკლის დახავსებულ ტანს, მაგრად ხვევს ორივე ხელს და რატომღაც ცრემლი უდგება ჰორიზონტისკენ მიპყრობილ მეოცნებე, ნაღვლიან თვალებში.



# მამუკა ხაზარაძის წყალგამყოფი

## სააკაშვილი ხაზარაძეზე ეჭვიანობს, რადგან ფიქრობს, რომ მის პოლიტიკურ ჰარამხანაში მევახშე ჯაყო შემოიპარა

20 ივნისის ღამე იყო ის წყალგამყოფი, რომლის შემდეგაც მტკიცედ გადავწყვიტე პოლიტიკაში მოსვლა და აი, აგერ ვარ, თქვენთან, ჩემო არაჩვეულებრივო ხალხოო, — განაცხადა მამუკა ხაზარაძემ 20 სექტემბრის „შემაჯამებელ“ აქციაზე, რომელიც ნაცებისა და ევრონაცების მიერ იყო ორგანიზებული.

ხაზარაძე, რომელიც იფიცება, რომ არც „ოცნებასთან“ ითანამშრომლებს, არც „ნაცებთან“ და არც „ევრონაცებთან“, 20 სექტემბერს, სინამდვილეში, „ნაცებთან“და „ევრონაცებთან“ მივიდა საკუთარი ფეხით და ამ „არაჩვეულებრივ ხალხს“ შეუერთდა.



— რა „ნაცები“ და „ევრონაცები“? ჩემს საყვარელ ახალგაზრდებთან, ჩემს მაქარაშვილთან, მშვილდაძესთან, ჩემს გაგარინთან, ჩემს ძვირფას „ბასიანელებთან“ მოვედიო, — იუარებს და თავს მოისულელებს ალბათ, ხაზარაძე, მაგრამ ფაქტი ჯიუტია — როცა ამა თუ იმ აქციაზე მიდიხარ, პირველი რიგში მიდიხარ ამ აქციის ორგანიზატორებთან და არა „მასოვკასთან“.

„პაბეგში“ მყოფმა მიშიკომ, ეტყობა, რაღაც ცუდად იყნოსა და საზღვრის გარედან სულ მევახშე უძახა მის პოლიტიკურ ჰარამხანაში შემოგველებულ ხაზარაძეს. **როგორც ჩანს, მიშიკო სერიოზულად ეჭვიანობს ხაზარაძეზე — ეშინია, მდიდარმა მევახშემ „ხასები“ არ გაუბახოს და თავის ლოგინში არ გადაიტყუოს.**

არ არის მთლად უსაფუძვლო მიშიკოს შიშები — ხაზარაძე მართლა ჰგავს ჯაყოს, ჯაყოსგან კი, ყველაფერს უნდა ელოდო.

რაც შეეხება ნაცებთან კავშირს, ხაზარაძე ყოველთვის იყო ნაცებთან, მაშინაც კი როცა თავისი კომკავშირელი ძმაკაცის, საიდუმლო „ნაცის“, კვირიკაშვილის, დახმარებით „ქართულ ოცნებას“ მიუჩოჩდა და ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის დათრევა სცადა, პარალელურად კი ე.წ. ბასიანიას ბატალიებს აფინანსებდა, იქით „რუსთავ-2“-ს და სხვა მედიასაშუალებებს უკუჭავდა ფულს ჩუმ-ჩუმად.

**მოკლედ რომ მოვჭრათ, ბიძინა ივანიშვილისთვის საზიანო ყველა მავნებლურ და ძირგამომთხრელ საქმეს, როგორც ამბობენ, სწორედ ხაზარაძე უმაგრებდა ზურგს ფინანსურად და კვირიკაშვილთან და ქუმსიშვილთან ერთად თავგამოდებულ, ცდილობდა ივანიშვილის დასუსტებას.**



შემთხვევით არ წამოსცდენია ბატონ ბიძინას, მე რომ პოლიტიკაში არ დავბრუნებულიყავი, შეიძლება კვირიკაშვილს ჩემი ზარისთვის არც ეპასუხნაო.

დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ კვირიკაშვილი-ხაზარაძის დუეტი „სასახლის კარის“ გადატრიალებას ამზადებდა, რომლის მთავარი სამიზნე, ცხადია, ბიძინა ივანიშვილი იყო.

20 სექტემბრის საფინალო აქციაზე ახალი ლოზუნგი გაჩნდა: ერთად ერთის წინააღმდეგ!

ეს, დარწმუნებული ვართ, ხაზარაძის მიერ შემოგდებული ლოზუნგია.

საერთოდ, **ამ აქციების მონაწილეთა შემადგენლობას, მის მთავარ აუდიტორიას თუ დავაკვირდებით, ერთ გასაოცარ ამბავს აღმოვაჩენთ. ეს მამუკა ხაზარაძის ხალხია, მისი ახალგაზრდული „სასტავია“, რომელიც 20 ივნისის, ანუ პარლამენტში შეჭრის ღამემდე სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მოტივით სისტემატიურად აწყობდნენ მიტინგებს და აქციებს.**

ასე რომ შეიძლება მთლად ზუსტი არ იყოს ის, რაც ზემოთ ვთქვით: 20 სექტემბერს ხაზარაძე ნაცებისა და ევრონაცების მიტინგზე მივიდაო.

იქნებ ხაზარაძე კი არ მივიდა ნაცებთან და ევრონაცებთან, თვითონ ისინი მოვიდნენ ხაზარაძესთან, მოვიდნენ და დარჩნენ.

აი, ეს იცის სააკაშვილმა და ამიტომაც ილანძღება და იგინება ხაზარაძის მისამართით.

ჯაყო შემოეჭრა ჰარამხანაში და არც ილანძღოს და არც იგინოს?

მამუკა ხაზარაძემ პარასკევის მიტინგზე ისეთი სიტყვა წარმოთქვა, კაცს შეიძლება ეფიქრა, ეს რა გულდათუთქული პატრიოტი ყოფილა, როგორ ნაყვარება თავისი ბედკრული სამშობლოო.

— 20 ივნისის ღამე ეს იყო საქართველოს თავისუფლების და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მიმართული აქტი და ამან გადამაწყვეტინა აქ მოსვლაო, — ღაღადებდა ხაზარაძე.

საქართველოს დამოუკიდებლობასა და თავისუფლებაზე ასე თუ გეწვოდა გული, მერაბ კოსტავას როგორ უღერებდი მუშტს, შე არამზადაო? — დაუწერა ვიღაცამ ფეისბუქში „პატრიოტ“ მამუკას.

„პატრიოტ“ მამუკაზე კიდევ ბევრი რამ ითქმება და ბევრი რამ დაიწერება, მათ შორის ისეთებიც, თავმოყვარე კაცი თავს გარეთ რომ არ გამოყოფდა სირცხვილისგან, თუმცა პატივცემული მამუკა საზოგადოების დაბოლებას და საკუთარი უბადრუკი პერსონის უპატიოსნეს და უმწიკვლო რაინდად წარმოჩენას ასე ადვილად ვერ მოიშლის.





საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში.
აგლაძის 39. ტელ: 234-39-99
E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983